ეროვნული ბიბლიოთეკა

645/2









# საბჭოთა ქალი

ივლისი
N 7 1965 წ.







ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფელ შრომის (მახარაძის რაიონი) ჩაის პლანტაციებში.

ფერადი ფოტო თ. ფურცხვანიძის.

645/2
N31



„დედა ომის წინააღმდეგია“

ანდრეა გომესი (მექსიკა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური
საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

გამოცემის მე-9 წელი

№ 7 ივლისი 1965 წელი

# საქართველოს ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ

# ახალი ამბავი მოვიდა

## ადამიანებისაგან წამოვიდა ინიციატივა

წლევანდელმა გაზაფხულმა ახალი ამბავი მოიტანა — მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის დასაჩქარებლად სახელმწიფომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დახმარება აღუთქვა. ეს კი იმაში მდგომარეობს, რომ ზონალური თავისებურებების გათვალისწინებით დაწესდეს მოქმედი შესასყიდი და დამზადების ფასების დანამატები. ამის შედეგად უახლოეს ორ-სამ წელიწადში უზრუნველყოფილი იქნება მეცხოველეობის განვითარება.

მთელი რიგი წლებისათვის მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის მტკიცე და სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება საშუალებას მისცემს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უკეთ განსაზღვრონ მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივები: რამდენი სული პირუტყვი ჰყავდეთ, როგორი სადგომები ააშენონ, როგორი საკვები ბაზა შექმნან, რა დათესონ თავიანთ მიწებზე და როგორ კვებონ პირუტყვი.

კარგი ამბავი მოუტანა წლევანდელმა გაზაფხულმა სოფლებს. სულ პატარა სოფელშიც კი მოვიდა ეს ამბავი, — ყველა სახლში ალაპარაკდნენ, კოლმეურნეობებში იმსჯელეს, სადაც საქმე ჩავარდნილი იყო, უკეთესი პერსპექტივები დაინახეს.

ადამიანები ამოქმედდნენ. პლენუმის საპასუხოდ ვალდებულებები აიღეს და შეასრულეს კიდეც. სიხარულს საქმე მოჰყვა, წარმატებამ ენთუზიაზმი გაზარდა. ადამიანებისაგან წამოვიდა ინიციატივა — ექვსი თვის გეგმა შესრულდეს ვადაზე ადრე, 1 მაისისათვის! „ოთხ თვეში მწველავებმა მიიღეს იმდენი რძე, რაც უნდა მიეღოთ ექვს თვეში“ — მოვიდა ამბავი სოფელ ნიჩბისიდან.

ნიჩბისი მცხეთის რაიონშია. მცხეთიდან მაღლა, მთების გულისაკენ უნდა გაუხვიო. საქართველოს თითქმის ყველა სოფელი ისტორიაში თავისი წარსულით იხსენიება და ასეთი წარსული არც ამ სოფელს აკლია. დღეს სამ ნიჩბისს გაიგონებთ ამ მხარეში. — ზემოს, შუას და ახალს. ნიჩბისის კოლმეურნეობაში კი ამ სამი ნიჩბისის გარდა ძეგვი და სასხორიც შედის.

კოლმეურნეობის მესაქონლეობის ფერმაში ათასამდე სული საქონელია. აქედან 250 ფურია და ამჟამად დაახლოებით 200 იწველება. ფერმებში ჰყავთ ნამატი, დეკეული, მოზვრები, უშობლები. კოლმეურნეობას ერთი ფერმა ძეგვში აქვს, მეორე — ახალ ნიჩბისში, მესამე — ზემო ნიჩბისში.

გაზაფხულზე საქონელი ხეკორძულას წყალს სვამს და ახოსთავებზე ბალახობს, ზაფხულში მთებზე გადირეკება და მწყემსებთან ერთად მწველავებიც იქ მიჰყვებიან.

წელს სხვანაირი გაზაფხული დადგა ნიჩბისში.

## როგორც კინოკადრში

გაზაფხული ცივი იყო და გვიან დათბა. დილაადრიანად ცა ხშირად იყო ტყვიისფერი და საავდრო ღრუბლები წამდაუწუმ ხსნიდნენ პირს. სოფლიდან ამოსვლისას ეს ორი ქალი — ვენერა პეტროსიანი და სირანა მერაბიშვილი ზოგჯერ ერთმანეთს უსწრებდნენ ნაბიჯში, ზოგჯერ კი მილაპარაკობდნენ გვერდიგვერდ. ქვემოდან რომ აგეხედათ, მათი კაბების ფრიალზე შეატყობდით, რომ თენდებოდა ქარიანი დილა. ცასა და ამწვანებულ ფერდობს შუა ეს ორი ადამიანი ხშირად წააგავდა კარგ კინოკადრს და მათი დიალოგი უთუოდ დაგაინტერესებდათ. კადრები კი ცვლიდნენ ერთმანეთს. აი, სირანას უკვე გაუსუფთავებია თხუთმეტივე ძროხა და ახლა საკვები მიაქვს. ვენერა კი მეთხუთმეტეს ასუფთავებს. სირანა 12 წელია

ს. მერაბიშვილი და ვ. პეტროსიანი





ელენე პაპაშვილი

მუშაობს, ვენერა მეორე წელია მწველავად არის. სირანა ასაკითაც ბევრად უფროსია. რა არ უნახავს, რა საქმე არ უკეთებია! წინათ ხარკამეჩის სადგომებს ასუფთავებდა. ზამთარში, როცა საქონელი გარეთ ვერ გადიოდა, საკვები შემოჰქონდა ბოსელში. ვენერამ მცხეთის ზოოვეტერინალური ტექნიკუმი 1955 წელს დაამთავრა და ნიჩბისის ფერმაში ბრიგადირ-აღმრიცხველად მოვიდა. კაცები რომ გაიკრიფნენ სოფლიდან, ომს ქალებმა კაცური შრომა უჩვენეს. სირანა მეურმედ დაჯდა და ძნები გადმოჰქონდა. ფერმაში მისვლის მერე ვენერას მუშახელის ნაკლებობა ისე აწუხებდა, რომ ბრიგადირ-აღმრიცხველობაზე უარი თქვა, მწველაობა დაიწყო. სირანა კომუნისტი იყო და იცოდა, რომ იმაზე მეტი უნდა გაეკეთებინა, ვიდრე შეეძლო. ომი იყო და აბა, მინდვრის მანქანები საიდან ივლიდნენ ნიჩბისში! სირანა კალოს ლეწავდა სოფელში და ხან მეხრედ იჯდა ურემზე, ხან გუთნის დედას ენაცვლებოდა. ახლა ერთი საქმე აქვთ ვენერა პეტროსიანსაც და სირანა მერაბიშვილსაც და ერთმანეთს არ ჩამორჩებიან.

ყური რომ დაუგდოთ, აი, რას დაიწუწუნებს ხანდისხან სირანა:

— რამდენჯერ მოგაკითხეს, განათლება უნდა მიიღო, გასწავლითო. რა დროს ჩემი სწავლაა! ადრე ვერ მოვიცალე, ცხოვრება იყო ისეთი. ახლა შვილიშვილები მჯობნიან სწავლაში და მათ როგორ დავეწევი!.

ახალმა თავმჯდომარემ ნიკოლოზ მიქელაშვილმა ბევრი კარგი რამ გაუკეთა ნიჩბისელებს. თურმე აქაურთათვის სარწყავი წყლის ამოყვანაც შეიძლებოდა, ახალი წისქვილიც აშენდებოდა, ძროხების ბოსელიც დაიდგმებოდა, ტიპიური სადორეც ექნებოდათ, ნიკოლოზის მოსვლამდე რომ სხვასაც სოფლისათვის გული დაედო. რაც ახალი თავმჯდომარეა, უკეთესად შრომობენ ნიჩბისელები. სირანაც ერთ-ერთი იმათგანია, მშრომელი, აქ დაბადებული და გაზრდილი, ხანდაზმულიც აქ შეიქმნა და თუ სოფლის მოწინავენი რამეს აკეთებენ, სირანა მათთან არის.

## რაზე გინდა ილაპარაკო?

— ბევრზე არაფერზეო,—გეტყვით და შეიტყობთ, ლაპარაკი არ უყვარს. მთავარს კი მისი შრომითი მაჩვენებლები ამბობენ. ელენე პაპაშვილმა გასულ წელს 20.600 კგ რძის ნაცვლად მიიღო 26.347 კგ რძე. წლევანდელი მაჩვენებლები უკეთესია. მარტო ის რად ღირს, რომ ექვსი თვის წველადობის გეგმა ოთხ თვეში შეასრულა. ელენე პაპაშვილი ცოტას ლაპარაკობს და ბევრს აკეთებს. მხოლოდ ხანდახან გაირინდება. ეს მაშინ, როცა საქმეს მორჩება და შეიძლება ჩამოჯდეს, დაისვენოს. ჩამოჯდომის მაგიერ კი გაირინდება და ვინ იცის, რაზე ფიქრობს!

იქნებ ციხედიდის ხეობაში თავისი ხელით დარგულ კაკლებზე! შიო მღვიმის მონასტრის პირდაპირ რომ დიდი ხეობაა, იქ კაკლის ხეები უკვე გაიზარდა და ნაყოფსაც ისხამს. მაშინ სატყეო მეურნეობაში მუშაობდა ელენე და ტყეებს ახარებდა. ხეკორძულას ხეობა რომ ამოიაროთ, იქაც მისი ნარგავები დაგიხვდებათ. სად უნდა გახვიდეთ ახლომახლო, რომ ელენეს ხელშენახები ხე არ შრიალებდეს. მშრომელი რომ იყო, იმიტომ სთხოვეს ფერმაში გადმოსვლა. ფერმა აგრერიგად არ იზიდავდა ნიჩბისელ ქალებს. ელენე დღედაღამ ჰაერზე იყო და საქონლის სუნით გაჟღენთილი ბოსელი წარმტაცად არ ესახებოდა. სიტყვაძვირი რომ იყო, იქიდანაც ჩანს, ბევრი არ ილაპარაკა და ფერმაში მივიდა. ელენე პაპაშვილს წითელი ველის ჯიშის ძროხები აბარია და ამ ჯიშიან საქონელს განსაკუთრებულ პირობებს უქმნის. 16 ძროხა დასასვენებლად როდი ჩამოაჯენს ელენეს, მაგრამ ზოგჯერ ასე რომ გაირინდება, გრძნობთ, რაზე ფიქრობს იგი. ნაადრევად გაუჩნდა ნაოჭები, ეს ომის ბრალია. სოფელში რომ ქვრივი გქვია, ფერმაში შრომობ და ერთადერთ გოგონას ისე ზრდი, მისთვის რომ მხოლოდ გვიანი ღამე გრჩება და ალიონზე მძინარეს ეთხოვები, — ადვილი არ არის., მაგრამ იმაზე ძნელი რა იქნება, რომ დედისერთებს დედებივით მოუწიოთ ქვრივობა! ქვეყნად არ იყოს ომი, — ეს ნატვრა აქვს ნიჩბისელ კოლმეურნეს, რომლის სახლში ომმა დატოვა მძიმე კვალი. ამაზე სურს ლაპარაკი ელენე პაპაშვილს, როცა მოწინავე მწველავი ეთერ ოსეფაშვილი, ნიჩბისელების ახალი რძალი, შემოდის ფერმაში და ეფერება ხბოებს, როცა იცის, რომ მისი შვილის თანატოლი ეთერი ელის დედობას, როცა ესმის, რა ფასი აქვს შრომას მშვიდობიან სოფელში.

ქ. ლიაძე



ეთერ ოსეფაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ გოგრონიძე




მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ზ. გოგოლაძე

აქედან კარგად ჩანს დაბლობი. რკინიგზის ხაზი ხეობამდეა მოსული. მთელ მის სიგრძეზეა გაშლილი სამშენებლო უბანი.

მზე არ ჩანს. თუმცა, სადღაც ახლოს რომ არის, ეტყობა ცას, დასალიერს ცეცხლისფერი ზოლები ხაზავს.

— ეჰეი! — ყვირის რეზო.

— ეჰეი... ჰეი... ეი... ი... — იმეორებს ხეობა.

საბურღი აგრეგატი მარხილზეა დამაგრებული. სქელკისერა ხარი მიათრევს. იჯეგება ბუჩქნარი, რჩება თეთრი ნაკვალევი, რომელიც სულ უფრო და უფრო მიჰყვება მთას.

ახალი ბულდოზერი არ გამოდგა მთაში, კირქვის დაკბილულ ზედაპირს ვერ მოერგო მუხლუხი, მაშინ ბურღვის ოსტატმა პავლიამ რეზოს ურჩია ძველი, ნაცადი ხერხით აეტანათ აგრეგატი.

პავლია წინ მიუძღვის ხარს, ცალი ხელი კისერზე აქვს შემოხვეული, მეორეს აქეთ-იქით იქნევს. ხარს ძალიან უჭირს ნაბიჯის გადადგმა. რეზოს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს პავლია მიათრევდეს მარხილზე დამაგრებულ აგრეგატს და უზარმაზარ წითელ ხარს.

— მი-ჰო, — ხელს იქნევს პავლია...

კაშხალი უნდა აშენდეს მთაში. მდინარის მარჯვენა ციცაბო ფერდი, რომელიც კირქვითაა აგებული, ნაპრალიანი აღმოჩნდა. აუცილებელი გახდა ნაპრალის გავრცელების ზუსტი დადგენა. მშენებლობის მთავარმა გეოლოგმა წერტილები დანიშნა, რეზოს დაავალეს საბურღი მოწყობილობის ატანა და მონტაჟი.

რეზო ორი კვირაა, რაც მშენებლობაზე ჩამოვიდა. ხეობაში დახვდა საშინელი მოწყენილობა და რამდენიმე ხის სახლი. ყველაზე ადრე პავლია გაიცნო. პავლია ცოლშვილს ელოდებოდა. ხის სახლი წითლად შეღება, მერე ეზოში მიწა გააფხვიერა, საიდანღაც ნერგები მოიტანა...

ცოლშვილი რომ ჩამოუვიდა, რეზო სადილად მიიწვია. არ უნდოდა წასვლა. პავლიას ცოლმა მოაკითხა და ძალით წაიყვანა. გემრიელად ისადილა, ღვინოც დალია. მერე პავლიამ და მისმა ცოლმა იმღერეს. პავლიას პატარა გოგონამ ტუჩებზე აიფარა ხელი და ისე იცინოდა...

— მე, შვილოსა, მთელი მსოფლიო მაქვს შემოვლილი, — სთქვა პავლიამ, როცა სიმღერა დაამთავრა. ოთახში ბნელოდა, ხეობაში თორმეტის ნახევარზე ქრებოდა სინათლე.

— მსოფლიო კი არა, ის არ გინდა... — ჩაიქილიკა პავლიას ცოლმა, თან შეთხელებულ ქოჩორზე გადაუსვა ქმარს ხელი.

— საბჭოთა კავშირი ხომ მაქვს! — გაწიწმატდა პავლია.

— მერე? — გამოაჯავრა ცოლმა.

— რა მერე?... ქალო, შენ ნუ იცი ასე...

რეზოს გაეღიმა, მერე შეშურდა. რეზოს პირდაპირ პატარა გოგოს თავი მაგიდის კიდეზე ჩამოედო და ეძინა. პავლიას ცოლი, ქმრის ბეჭებზე იდაყვებჩამოყრდნობილი, შესცქეროდა სიბნელეს და რაღაცას ღიღინებდა. კმაყოფილი პავლია ნებივრად იყო მისვენებული სკამზე.

— ცოდო ხარ, შვილოსა, მარტო, — სთქვა მან და სიბნელეში რეზოს ხელს დაუწყო ძებნა. რეზოს ტყვიასავით მოხვდა ნათქვამი, ფეხზე წამოიჭრა, სკამი გადატრიალდა ხმაურით, პატარა გოგოს გამოეღვიძა და ტირილი დაიწყო. რეზო ბარბაცით გავიდა თავის ოთახში, იმასაც ძალიან უნდოდა ტირილი. აუტანელი იყო პატარა ოთახი. კუთხეში ეყარა გამოცვლილი ტანსაცმელი, რაფაზე — საჭმლის ნარჩენები და კონსერვის ცარიელი ყუთები, დამტვერილი ჟურნალები და წიგნები, საწოლის თავთან, კედელზე ეკიდა მეგის სურათი. რეზო საწოლზე ჩამოჯდა...

ორი კვირის წინ ისინი იდგნენ ბაქანზე, ერთმანეთის ხელები ეკავათ და ვერ ამჩნევდნენ ცნობისმოყვარეთა თვალებს.

„როგორც კი მოეწყობი, მომწერე!"

„ჩამოხვალ?"

„ოთახს მოგცემენ?"

„მომცემენ".

„ცალკე?"

„არ ვიცი".

„ცივა", — სთქვა მეგიმ და აიწურა.

„ახლოს მოიწი, პალტოს მოგახურავ".

მეგიმ თავი გააქნია.

„ხალხს მეტი კი არ უნდა, ხელად მომნათლავენ".

ბაქანზე გრიალ-გრიალით ჩაატარეს მტვირთავებმა ურიკები.

„ჰაბარდა!" — ყვიროდა გრძელულვაშა ქურთი.

„შენ რომ წახვალ, მე რა ვქნა, რეზო?"

„ჩაჯდები ტროლეიბუსში და წახვალ შინ".

„რეზო, ნუ წახვალ..."

„კაი დროსია, ცოტა ადრე ვერ მითხარი?"

„შენ სულ ხუმრობ. მე ვერ გავძლებ უშენოდ..." — მეგის ცრემლებით აევსო თვალები. რეზოს უცებ სიბრაზემ მოუარა, ნიკაპი აუწია და თვალებში ჩახედა.

მეგი ძლივს იმაგრებდა ცრემლებს.

„ზედმეტ მგრძნობიარობას რა ჰქვია, გენაცვალე?"

„გეყოფა..."

რეზო გაჩუმდა.

„თემური იგვიანებს", — სთქვა მერე და სადგურის საათს შეხედა. ისარი მიიწევდა თორმეტისკენ.

„ჩემთან უკვე მოგწყინდა, რა თქმა უნდა".

„მეგი..."

რეზომ მხრებზე ხელი მოხვია და მიიზიდა.

„გიყვარვარ?"

„როცა ჩემთან ხარ..."

რეზომ არ დაამთავრებინა სათქმელი, ცივად მოიშორა მისი ხელები.

...მერე მატარებელი მიჰქროდა. გარეთ ელექტრონის ბოძები, სახლები, მთები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სირბილში. რეზო სარკმელთან იდგა და ფიქრობდა, რა იქნებოდა მერე, როცა მატარებელი გაჩერდებოდა უკანასკნელ გაჩერებაზე.

* * *

— მი-ჰო...! — ხელს იქნევს პავლია, ხარს კისრის ძარღვები დაჰბერვია.

— შემოუძახე ერთი, შემოუძახე! — უძახის პავლია.

და ისევ იქნევს ხელს ჰაერში.

მარხილის კუთხე წამოსდებია კლდის ნაშვერს. რეზო ეჯაჯგურება, მაგრამ არაფერი გამოდის. მერე რეზო უდგას ხარს და პავლია ეჯაჯგურება მარხილს. არც იმას გამოდის არაფერი.

— შევისვენოთ ცოტა, — ამბობს პავლია და ოფლს იწმენდს შუბლზე.

ზევიდან ხელისგულივით მოჩანს ხეობა, ხიდის მშენებლობაზე თვითმცლელი მანქანები ხრეშს ეზიდებიან, ბურჯები უკვე ჩაუყრიათ.

— ადრე სად მუშაობდი? — ეკითხება რეზო და სიგარეტს აწოდებს.

— კახოვკაზე... გაგიგონია?

— ვკითხულობდით გაზეთებს.

— ჩემზე რომ ეწერა, ისიც წაიკითხე?

— წავიკითხე.

— არა, მართლა?

რეზოს ეღიმება. პავლიას გულწრფელად აინტერესებს, წაიკითხა თუ არა რეზომ მისი ამბავი გაზეთში.

— კონკრეტულად აღარ მახსოვს... იმდენი იწერებოდა მაშინ კახოვკაზე.

— ოცდასამი ივლისის „იზვესტია“, ნახევარი გვერდი ეკავა წერილს ჩვენს ბრიგადაზე. სურათიც იყო, მოსკოვიდან ჩამოსულმა კორესპონდენტმა გადაგვიღო... თუმცა, შენ მართალი ხარ, ყველაფერს ვერ დაიმახსოვრებს კაცი...

რეზო ცვლის საუბრის თემას.

— ცოლიც მუშაობდა?

— ჰო, მე და ის ერთ ბრიგადაში ვიყავით.

— ძალიან გიყვარს?

— რა მითხარი?

— ძალიან გიყვარს-მეთქი ცოლი?

პავლია კეფას იფხანს. რეზო ისევ ეკითხება:

— შენთან რომ არ ყოფილიყო, შენს გვერდით, მაინც გეყვარებოდა?

— არ ვიცი. არასოდეს არ გამომიცდია. ჩვენ ყოველთვის ერთად ვართ. ქვევიდან ვიღაც მოდიოდა სტვენით, ბექობი ეფარებოდა.

„რა არის მთავარი... რა არის სიყვარული... რა არის ბედნიერება, ანდა, ბოლოს და ბოლოს, სულიერი კმაყოფილება რაღაა?“ — ფიქრობდა რეზო.

• • •

ერთხელ მეგისთან წვეულება იყო.

„ჩავრთოთ რა მაგნიტოფონი“, — სთქვა ნანამ. ნანას წითლად შეღებილი თმა ჰქონდა და ეცვა ძალიან მოკლე კაბა.

„ახლავე... რეზო, მომეხმარე“, — მეგიმ თვალით ანიშნა მაგნიტოფონზე, რომელიც ოთახის კუთხეში იდგა იატაკზე.

რეზომ მაგიდაზე დადგა მაგნიტოფონი.

ვიღაცა ღიღინით აჰყვა მუსიკის ტაქტს. ვიღაცამ ცეკვა დაიწყო. თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, რეზოს კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაც აკლდათ, ყველაზე მხიარული და ენამოსწრებული.

ოთახს მოავლო თვალი. ნანა ახალ ილეთს აჩვენებდა მზიას. მზია არ ამჟღავნებდა არავითარ ინტერესს და გულგრილად მისჩერებოდა ნანას გამხდარ კანჭებს. ციალა ტახტზე მოკალათებული კითხულობდა წიგნს, თემური პაპისგან ნასწავლი პასიანსით ირთობდა თავს...

ტელეფონმა დარეკა.

„გისმენთ“, — უპასუხა მეგიმ, — ა... გამარჯობათ“.

რეზომ შეამჩნია, როგორ წამოწითლდა მეგი.

„ძალიან გამიხარდება...“

„ვინ იყო?“ — ჰკითხა ლიამ, როცა მეგიმ ლაპარაკი დაამთავრა.

„სიურპრიზია“, — მიუგო კეკლუცი ღიმილით მან და მეორე ოთახში გავიდა.

სიურპრიზი ახალგაზრდა ლექტორი ოთარ ნეიძე აღმოჩნდა. იგი დინამიური გეოლოგიის კურსს კითხულობდა მესამე კურსზე. რეზო ცივად შეხვდა ნეიძეს, მეგი — პირიქით.

„ძალიან გამიხარდა, რომ მოხვედით“.

„მომწონს თქვენი თავშეყრა, იმედი მაქვს, ხელს არ შეგიშლით“, — სთქვა ნეიძემ და თვალი მოავლო მეგის ოთახს.

„ვიცეკვოთ?“ — შეეპატიჟა მეგი.

„სიამოვნებით...“

ნეიძემ აღტაცებაში მოიყვანა ყველა. ციალამ წიგნის კითხვას თავი დაანება და სარკეში დაიწყო ხშირხშირად ყურება.

„კარგად ცეკვავთ“, — უთხრა მეგიმ.

„ჩემი სტუდენტობის დროინდელია. ახლა აღარ ცეკვავენ ასე“...

ნანა და თემური ცეკვავდნენ ტვისტს.



„გენიალური კაცია“, — სთქვა მზიამ.

„მგონი, მეგი მოსწონს“, — უთხრა ნანამ.

„რას ამბობ, ცოლიანია!..“ — გაიკვირვა ციალამ. ნანამ და მზიამ ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს.

რეზომ მოიწყინა, იგი ამრეზით მიჩერებოდა ნეიძესთან საუბრით გართულ მეგის.

თემურმა შეამჩნია რეზოს ხასიათის შეცვლა და ძმაკაცს ამოუდგა გვერდში.

„ხედავ, რამდენი რამე იცის?.. ვითომ ძალიან ახალგაზრდა ვარო? თქვენსავით ცეკვაც ვიციო?“

„საქმე ნახე, კაცო“... — შეუტია რეზომ ლაპარაკის ხასიათზე მოსულ ამხანაგს. თემური აიწურა, მდგომარეობიდან მზიამ გამოიყვანა, საცეკვაოდ მიიწვია. მეგიმ ცეკვა რომ დაამთავრა, რეზოსთან მივიდა.

„ხომ არ მოიწყინე?“

„არა. მოწყენა დროს დაკარგვას ნიშნავს, დროს დაკარგვა კი ჩვენს დროში სისულელეა...“

მეგიმ გაიგო ქარაგმულად ნათქვამი.

„რეზო...“

„რა, რეზო!“ — იყვირა რეზომ.

მეგი არ მოელოდა, ნაწყენმა ზურგი შეაქცია. რეზოს სული ყელში მოებჯინა, ადგა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა გარეთ.

* * *

ქვევიდან მომავალმა მგზავრმა ბექობი ამოიარა.

— თემურ! — ყვირის გახარებული რეზო და კისერზე ეხვევა მეგობარს.

— როდის ჩამოხვედი?

— სამი დღეა. შენ დაგეძებ, ყველა უბანი მოვიარე თითქმის.

— იმ დღეს როგორ გელოდებოდი სადგურზე...

— იმ დღეს ვერ მოვახერხე წამოსვლა.

— თორმეტი რომ შესრულდა, ხელი ჩავიქნიე... სად გაგანაწილეს?

— კაშხალის მშენებლობაზე... შენ?

— რაღაც ნაპრალი აღმოჩნდა ცარცულ ნალექებში, უნდა გავბურღოთ რამდენიმე ადგილას.

— ბინა მეთორმეტე კვარტალში მომცეს... შენ როგორ მოეწყვე?

— არა მიშავს რა, მე მეოთხეში ვარ, — უთხრა რეზომ და რატომღაც ხმას დაუდაბლა, — მეგი ხომ არ გინახავს წამოსვლის დროს?

— არა. ტელეფონით დავურეკე, შემპირდა, სადგურზე გამოვალო, მაგრამ...

რეზო მოიღუშა.

— ბიჭებო, მოდი, ერთი, მივაწვეთ ამ სამგლეს, თორემ დაღამდა, — დაიძახა პავლიამ, რომელსაც ცალი ხელი ისევ ხარის კისერში ჰქონდა ჩავლებული.

— მოდი ერთი, მივაწვეთ, — უთხრა რეზომ.

— ერთი, ორი და სამ-ი... — დაიძახა თემურმა და ჩაიმუხლა. მარხილი მოშორდა შვერილს და განაგრძო გზა.

— მი... ჰო... ო!... — ყვიროდა პავლია და იქნევდა ხელს

— კაშხალის საძირკველს როდის ჩაყრით? — ჰკითხა რეზომ.

— როგორც კი გვირაბის მშენებლობა დამთავრდება, მდინარეს გადავაგდებთ და დავიწყებთ... ნახე, რამხელა გვირაბია?

— არა, ვერ მოვასწარი.

— აუცილებლად უნდა ნახო. გინდა ხვალ წავიდეთ?

— წავიდეთ.

— დღეს არ აღვნიშნოთ ჩვენი შეხვედრა?

— აღვნიშნოთ.

— მაშ მივდივარ. საღამომდის...

— საღამომდის, — ხელი დაჰკრა გამოწვდილ ხელზე რეზომ.

თემურმა მარჯვნივ, გვირაბის მშენებლობისკენ გადაუხვია და სტვენასტვენით განაგრძო გზა.

„არასოდეს მოიწყენს ეს კაცი, ალბათ“, — გაიფიქრა რეზომ და ღიმილით გააყოლა თვალი მეგობარს.

თემური მალე მიეფარა თვალს. პავლიამ და რეზომ გზა განაგრძეს.

— მალე მივალთ? — გასძახა რეზომ.

— მალე... აგერ, თეთრად რომ მოჩანს, ის ადგილია.

ასიოდე მეტრის მოშორებით გამიშვლებული კირქვის სვეტი მოჩანდა. რეზომ თვალით მოზომა ხეობა. პროექტის ავტორებს კარგად შეერჩიათ კაშხალის ადგილი.

„ეჰ, მეგი, შენ რომ ჩემს გვერდით ყოფილიყავი, სულ სხვანაირი იქნებოდა ცხოვრება“, — გაიფიქრა რეზომ და მწარედ ამოიოხრა...

* * *

— რა არის ცხოვრება, შენ როგორ ფიქრობ? — ჰკითხა ერთხელ რეზომ მეგ.ს (ისინი ისხდნენ ახლადგახსნილ კაფეში, რუსთაველზე).

— როგორ გითხრა... ცხოვრებაა, მე მგონი, ჩემი სიცოცხლე, შენი სიცოცხლე, საერთოდ ადამიანების სიცოცხლე. იგი ადამიანის თანდაყოლილი უფლებაა და იწყება ნაბიჯებით, ჯერ პატარა, მერე უფრო მოზრდილი, კიდევ უფრო დიდი, და ცხოვრება მოძრაობს, მიდის წინ...

— ადამიანები ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთი უყვართ, სიყვარული კი თავად ცხოვრებაა. მეგი...

— რა გინდა, რეზო?

— მიყვარხარ.

— ძველია.

— ახალს აღარავინ ამბობს. ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვიმეორებთ.

— მოსაწყენია.

— სიყვარული გასართობად არ გამოდგება.

— გმადლობთ...

— მეგი!

— სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— იქნებ სხვა...

მეგიმ ხმა არ გასცა, სახე აარიდა.

— რატომ ხარ გაჩუმებული, რატომ! — იყვირა რეზომ. ხალხმა აქეთ-იქიდან რომ დაიწყო ყურება და ჩურჩული, ადგა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა კაფედან. ერთხანს უაზროდ იხეტიალა, მერე ბარში შევიდა და არაყი დალია. შინ მისული ვერ იცნო დედამ.

— რას გავხარ, შვილო?

— რა, ძალიან გაგიკვირდა?

— არ გამკვირვებია, გენაცვალე, მოდი, წამოწექი.

— ძალიან გთხოვ, შენს საქმეს მიხედო.

— რეზო?

— რა, რეზო, რეზო... თითქოს პატარა ბავშვი ვიყო.

დედას ეწყინა რეზოს უხეშობა, ზურგი შეაქცია. რეზომ სახე მოისრისა, მერე დედასთან მივიდა და ხელები მოხვია მხრებზე.

— მაპატიე, დედა.

— რა მოხდა?

— თავი შემჯავრდა.

— ეს ძალიან ცუდია, ჩემო ბიჭო.

— ცუდი? არა, დედა, ეს სულ სხვა სიტყვაა. არარაობა ხარ, როცა კაცს შენი თავის აღარა გჯერა, როცა დარწმუნდები, რომ ჭიანჭველა ხარ, უმნიშვნელო, რომელსაც ვერავინ ამჩნევს. განა აზრი აქვს ასეთ სიცოცხლეს?..

— მეგისთან ხომ არ მოგივიდა ლაპარაკი?

— არ ვუყვარვარ, დედა. განა ძალით შეიძლება სიყვარული?

— არა, ძალით არ შეიძლება.

— მე რომ მიყვარს?

— შენ ვაჟკაცი ხარ.

რეზომ ამოიოხრა.

* * *

რეზოს აღიზიანებდა ყველაფერი. გრძნობდა, რომ მათი ხასიათები არასოდეს არ გადაიქცეოდა ერთ მთლიანობად, უამისოდ კი შეუძლებლად მიაჩნდა ცხოვრების დიდი და ძნელი გზის გავლა. მეგის უყვარდა ლაპარაკი მაღალ იდეალებზე, წმინდა სიყვარულზე, ცხოვრებაზე, მაგრამ მისი წარმოდგენები ვერასოდეს შორდებოდა პირადი ცხოვრების საზღვრებს. „მე“ იყო მისთვის ყველაზე მთავარი, ყოველ შემთხვევაში, რეზო ღრმად იყო დარწმუნებული, ხუთი თითივით ვიცნობ მეგისო და, საერთოდ, არც ერთი ადამიანი არ იყო მისთვის გამოცანა...

მიუხედავად ამისა, რეზოს უყვარდა. უყვარდა მისი სახე, თმა, თვალები, უყვარდა მისი ხმა, სიარული, აუტანელი ხასიათი...

ხსნა მოვიდა მოულოდნელად. ენგურზე დაიწყო საძიებო სამუშაოები. რეზომ გადაწყვიტა წასვლა. ინსტიტუტის დირექტორმა წარბები შეკრა.



„ეს განცხადება უკან წაიღეთ. თქვენს თემას მე დავამთავრებ? რას უპირებთ ინსტიტუტის გეგმას?“

რეზომ გადაწყვეტილება თემურს გაანდო, თემური ჩაფიქრდა და არაფერი უთქვამს. მეგიმ ირონიულად გაიღიმა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა. რეზომ გულში ჩაიკლა ბოღმა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, თბილისიდან წასვლა ხსნა იყო მისთვის.

* * *

— მოვედით, — ამბობს პავლია და მუშტით იწმენდს შუბლზე გამოჟონილ ოფლს. რეზოს აბრუებს მთის სიდიადე. თეთრი მწვერვალების სიცივე სახეს უგრილებს, მის თვალწინ იცრიცება ღრუბელი და იყურება ლურჯი ცა. ქვევით ხმაურობს ბობოქარი მდინარე, თხზავს არაჩვეულებრივ ჰანგს. იგი თავისებურია, განუმეორებელი, იბადება მთაში და თან ახლავს გამოძახილი. გამოძახილი ქმნის მრავალხმიანობას.

— ცუდია.

— ჰა...

— ცუდია-მეთქი ადგილი, — ამბობს პავლია, თან კეფას იფხანს, — გაგვიჭირდება წყლის ამოქაჩვა, შეხედე, რამსიმაღლე კედელია მდინარემდე, ორასი მეტრი მაინც იქნება.

— მილება რამდენი გვაქვს?

— მილები საკმარზე მეტია, მაგრამ გადაბმა არ გინდა? შეხედე, რა ციცაბოა კლდე.

მართლაც ციცაბოა, პიტალო, ფეხს ვერ მოიკიდებს კაცი, უწყლოდ კი ნახევარ მეტრზეც ვერ გაბურღავენ კირქვას.

საქაჩავთან, მდინარის პირას, მუშები ცეროდენებს ჰგავდნენ. რეზო სულ წინ მიიწევდა, კლდის კიდისაკენ.

— ხედავ ნაშვერს? — დაუძახა პავლიას.

— არ გადავარდე!

— ხედავ ნაშვერს? — ჯიუტად გაიმეორა რეზომ.

— ვხედავ.

— მუშებმა ქვევიდან დაიწყონ. ნაშვერთან რომ მოვლენ, მე ბაგირით ჩავალ.

— ხომ არ გაგიჟდი!

— მიეცი ნიშანი...

რეზო ყურს აღარ უგდებდა პავლიას ლაპარაკს. ფეხზე გაიხადა, მერე დაიწყო უზარმაზარი კოჭიდან ბაგირის შემოხსნა.

ეს არ იყო თავის გამოჩენის ცდა ადამიანთან, რომელსაც ცხოვრების მანძილზე ბევრი უნახავს. ეს არც ბავშვური ჟინიანობა იყო, — ბავშვებმა ხშირად არ იციან, რა უნდათ. რეზომ იცოდა. იგი თავს ცდიდა, ბრძოლა ჰქონდა გამოცხადებული საკუთარ თავთან.

გამოცდილი პავლია მიხვდა, რაც ტრიალებდა ყმაწვილის გულში. ქვევით მუშებს ნიშანი მისცა მუშაობა დაეწყოთ, თავად ბაგირის წვერს დაუწყო დამაგრება.

— ქვევით არ გადაიხედო, სიმაღლემ შეშინება იცის.

— კარგი.

— არ იჩქარო, ადრე დაიღლები!

— ჰო.

— მოდი, მე ჩავალ, ჰა?

— არა.

პავლია მგონი მზად იყო კლდიდან გადამხტარიყო, ოღონდ ხელი აეღებინებია განზრახვაზე. კეთილი პავლია, კარგი პავლია! როგორ უყვარდა რეზოს იგი...

• • •

რეზო იწვა მდინარის პირას, ხელები თავქვეშ ჰქონდა ამოდებული, შესცქეროდა ცას და ვერ გრძნობდა ზურგქვეშ მოქცეულ რიყეს... ცივი იყო კლდე, უხეში, მისი ზედაპირი ფეხის გულებს უფხაჭნიდა. იგი ფრთხილად მიიწევდა ქვევით, ზევიდან ამხნევებდა პავლიას შეძახილები, სიმაღლეს კი თითქოს დასასრული არ ჰქონდა.

არასოდეს არ დაღლილა ასე მკლავები, თითები ველარ იტანდნენ გავარვარებულ ბაგირს.

„ვერ მივაღწევ შვერილამდე...“ — გაიფიქრა რეზომ. მერე ყურებმა დაუწყეს ზუზუნი, თითქოს სადღაც ორკესტრი უკრავდა, მერე მის თვალწინ ზღვის ტალღებმა იწყეს ლიცლიცი, ცისარტყელამ მოქსოვა ბადე და გააბა თოლია. მერე თოლია სადღაც გაქრა და დაფდაფებმა აიყოლია მთელი ორკესტრი. მოვარდა უცნაური ჰანგის მძლავრი ნაკადი. რეზომ ვერ გაუძლო ასეთ დაწოლას, დამორჩილდა, ნებაზე მიჰყვა... მერე რეზო შვერილზე იდგა და უბერავდა ძლიერი ქარი, ქვევიდან სწრაფად იზრდებოდა მილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბმული. მერე, როცა მდინარის პირას წამოწვა დაღლილი, ზევით ახმაურდა საბურღი აგრეგატი.

„აქ ვის ელოდები, მეგი?“

„არავის“.

„ბუნების სიმშვენიერით ტკბები, ალბათ“.

„რატომაც არა!“

„კარგია“.

„რა არის კარგი?“

„ეგზოტიკა უკაცრიელი, ძველი ქუჩისა“.

„შენ? შენ რას აკეთებ აქ?“

„მე ვემალები საკუთარ თავს“.

„რატომ?“

„არ ვიცი. ვიცი, რომ ძალიან მოსაწყენია და სევდის მომგვრელი, როცა კაცი საკუთარ თავს ემალება“.

„რეზო... არ წახვიდე“.

„რატომ?“

„არ ვიცი... ვიცი, არ უნდა წახვიდე... მინდა ჩემთან იყო... ვიცრუე, ეგზოტიკას არ მოვუყვანივარ მე აქ. მე... ველოდები...“

„რატომ?“

„არ ვიცი. არ წახვიდე, გემუდარები, რეზო. არ ვიცი, რა მემართება. მითხარი, როგორ მოვიქცე?“

„შენ არ იცი, როგორ მოიქცე?.. შენ იცი, რა არის სხეულის სიცარიელე?“

„გეყოფა რეზო, არ შემიძლია მეტი“.

„ჰო, რა თქმა უნდა. შენ ელოდები...“

„ჰო, ველოდები. გუშინაც ერთად ვიყავით, იმის წინაც“...

რეზომ სილა გააწნა. მეგი გამოაფხიზლა შეურაცხყოფამ.

„მოიგონე, რეზო, განა, ცოტა გვაქვს მოსაგონარი? მერე რა მოხდა? მე არ ვიცი, შენ არ იყავი აქ, უნდა გამიგო, რეზო“.

„არა!“ — იყვირა რეზომ.

გამოეღვიძა, ოფლს დაეფარა შუბლი, კისერი, ხელები, ზევიდან იყურებოდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა.

— არა... არა... არა... — ისმოდა გამოძახილი.

წამოდგა.

მძიმედ აიარა ხის სამი საფეხური.

პავლიასთან ჯერ არ ეძინათ. ოთახიდან ისმოდა ბავშვის ლაპარაკი და პავლიას ცოლის სიცილი. კარების ღრიჭოდან იპარებოდა სინათლე და ბნელი დერეფნის ერთ კუთხეს ნათელს ჰფენდა.

რეზოს ძალიან მოუნდა მათთან ერთად ყოფნა. ნაბიჯი გადადგა, მაგრამ გადაიფიქრა. რატომღაც ეგონა, რომ მისი მისვლა დაარღვევდა ბედნიერი ოჯახის იდილიას. თავისი ოთახის კარი გააღო. კედელზე ხელის ფათურით მოძებნა ჩამრთველი. მაგრამ ამ დროს თავისი სახელი შემოესმა და გაშეშდა...

სიზმარს გავდა. ოთახი სავსე იყო სინათლით. მეგი საწოლზე იჯდა. რეზომ თვალები დახუჭა. მერე ნელ-ნელა, თითქოს დიდი ხნის შემდეგ ახლა პირველად აპირებდა სინათლის ხილვას, გაახილა.

„სიზმარია...“ — ფიქრობდა რეზო და განძრევის ეშინოდა. ეშინოდა, არ გამქრალიყო თვალსა და ხელშუა ყველაფერი. ასე იცის სიზმარმა. ყველა ოცნებას ერთად შეგისრულებს და გამოგაღვიძებს. რაღაც საოცარმა სითბომ დაუარა სხეულში. იგრძნო მხრები, ხელები და მთელი ტანი დასრულებული და მაგარი. მერე კისერთან რაღაც მოაწვა. ქუთუთოებმა ვერ დააკავეს მოზღვავებული გრძნობა...

გარეთ გავარდა. უკან დარჩა პავლიას ხელით წითლად შეღებილი ფიცრული, უკან დარჩა მთელი დასახლება. თეთრ ბილიკს სირბილით მისდევდა იგი სულ უფრო და უფრო მაღლა.

— ეჰე... ე! — ყვიროდა რეზო.

— ეჰე... ე!... — ესმოდა ხეობიდან გამოძახილი.



## ოთარ ჭილაძე

# ბავშვი უკრავდა სტუმრების თხოვნით

ბავშვი უკრავდა სტუმრების თხოვნით,
უცახცახებდა პატარა მხრები.
გარეთ კი, თვითონ ბუნების ნებით
თავკვანწირულად დნებოდა თოვლი

ჩნდებოდა მიწა, სველი და შავი,
როგორც დაწრეტილ მდინარის ფსკერი.
და ხეებს, თუმცა არ ედოთ ფერი,
მაინც ამაყად ეპირათ თავი.

ბავშვი უკრავდა სტუმრების თხოვნით,
ხოლო მუსიკა, ქარივით ლაღი,
ჭალს აწყდებოდა და დიდი ქალიც
ირთოდა მუსიკის უცნაურ ირთოლვით.

ირგვლივ უძრავად ისხდნენ სტუმრები
და სტუმრებისთვის უხილავ ცაში
მსუბუქი ფრთებით მიქროდა ბავშვი
და სხეულს ვეღარ გრძნობდა სრულებით.

მხატვარი ლ. შენგელია

# ჩემი მეგობარი



მინდა გიამბოთ ჩემს მეგობარზე. იგი მიმდინარე წლის იანვარში გარდაიცვალა მოსკოვში. მისმა სიკვდილმა ამაფორიაქა და გამიღვიძა მასთან დაკავშირებული მოგონებანი. გამახსენდა ჩვენი ბავშვობა და ოცნებები. თვალწინ წარმომიდგა ლამაზი მცხეთა. აქ დაიბადა ეთერი, აქ შესტრფოდა იგი დიდებულ ტაძრებს.

1926 წელს, თბილისის მე-8 შრომის სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩვენი ოცნება იყო ექიმები ვყოფილიყავით. 1931 წელს ეთერ მრევლიშვილმა წარჩინებით დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი. მე კი სხვადასხვა მიზეზების გამო ცოტა მოგვიანებით გავხდი ექიმი.

ეთერ მრევლიშვილმა დაიწყო მუშაობა ჯერ ბაქტერიოლოგიაში, შემდეგ თერაპიულ კლინიკაში პროფესორ შ. მიქელაძის ხელმძღვანელობით. მომდევნო წლებში პროფესორ ვორონინთან იყო პათოლოგიური ფიზიოლოგიის კათედრაზე.

მახსოვს ეთერის გატაცება საქმით, სერიოზული მუშაობა პათოფიზიოლოგიის კათედრაზე, სადაც მოკლე ხანში იგი დაინიშნა ასისტენტად. მან დაწერა რამდენიმე შრომა და ქართულ ენაზე გამოსცა დამხმარე სახელმძღვანელო პათოფიზიოლოგიაში.

1936 წელს ეთერ მრევლიშვილი გათხოვდა ა. ვორონინზე და საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში. 1937 წელს ის შევიდა ასპირანტურაში ექსპერიმენტული მედიცინის საკავშირო ინსტიტუტში და მუშაობა დაიწყო გრძნობათა ორგანოების ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის განყოფილებაში პროფესორ ნ. ი. გრაშჩენკოვისა და აკადემიკოს მ. ი. ავერბახის ხელმძღვანელობით.

1940 წელს წარმატებით დაამთავრა ასპირანტურა და 1941 წლის იანვარში დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „სიმპათიკური ნერვული სისტემის როლი თვალის შიდა წნევის რეგულირებაში თბილსისხლიანთა შორის“. 1941 წლის დეკემბერში ეთერი გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. ფრონტზე ყოფნისას ეთერ მრევლიშვილი-ვორონინა ჯერ მუშაობდა სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში ორდინატორად, შემდეგ კი საველე ჰოსპიტალში ორდინატორად. იმ წლებში დააჯილდოვეს წითელი ვარსკვლავის ორდენით.

1943 წლის ნოემბერში ეთერს ფრონტზე შევხვდი. ეს იყო ბელორუსიაში, ნეველის მისადგომებთან ბრძოლების დროს. პირობები მეტისმეტად მძიმე იყო. სიცივე ძვალ-რბილში ატანდა, ნოტიო ნიადაგი, გარშემო — ჭაობები. მაგრამ ეთერი მხნედ გამოიყურებოდა და თავის ჩვეულ ენამახვილობას არ იშლიდა.

ორივენი სიხარულმა აგვიტაცა. წუთით უდარდელ ბავშვებად ვიქეცით. ოღონდ, ფართო ვერცხლისფერი ზოლი გარეოდა თმაში. ერთ წელიწადში გაჭაღარავებულიყო.

— შენც! — შემხედა თავზე ეთერმა.

მაშინ ვიგრძენი, რომ ჩვენი ახალგაზრდობა დამთავრებულიყო ბრძოლის გზებზე.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ დავშორდით ერთმანეთს გულდაწყვეტილები.

ფრონტზე ყოფნისას მისგან რამდენიმე წერილი მივიღე.

1943 წლის ნოემბერში მწერდა:

„ჩემო საყვარელო კლარა! მალე, მალე გავიმარჯვებთ. შენ იცი, როგორ ყოჩაღად იქნები! დიდი მოვალეობა გვაწევს და პირნათლად გავიტანთ ლელოს (ეს იყო პინსკის ანუ პოლესიეს ჭაობებში, როგორც შემდეგ გავიგე). ჩვენს ნაწილს და მასთან სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონს ერთ ხანს გაუჭირდა (ალყაში იყო). როგორც კი საშუალება მოგვეცემოდა, პირდაპირ ყინულებზე გვეძინა. სურსათი შემოგვაკლდა, განსაცდელში ვიყავით. მაგრამ მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი, ცოცხალი თავით მტერს არ ჩავუვარდებოდით და გავიმარჯვებდით. ამ დროს მოგვისწრეს ჩვენებმა, ალყა გაარღვიეს, მტერს დიდი ზიანი მიაყენეს. არნახული ბრძოლებისა და გაუგონარი გმირობის მომსწრე ვართ. მივდივართ წინ! მივერეკებით მტერს...

ეთერი“.

ერთ-ერთ წერილში ისევ ბელორუსიიდან მწერდა შემაძრწუნებელ ამბავს:

„ამას წინათ დიდი დაბა გავანთავისუფლეთ. ჩვენი სანიტარული ბატალიონი ამ დაბაში განლაგდა. დაქცეული და მოოხრებული იყო იქაურობა გერმანელებისაგან. მოსახლეობა არ ჩანს. წყალი დაგვჭირდა. ჭას მივაგენით და გახარებულები ვეცით ჭურჭლებით... ჭიდან მეომრებმა წყლის ნაცვლად დახოცილი ბავშვების გვამები ამოიღეს. მხეც ფაშისტებს ბავშვები დაეხოცათ და გვამები ჭაში ჩაეყარათ. ვერ წარმოიდგენ, როგორ მიმძიმს ამ სურათის გახსენება, ან რა დამემართებოდა ამ საშინელების მნახველს, საცოდავი, უდანაშაულო მსხვერპლის შემყურეს! ბავშვები ჭიდან ამოვასვენეთ, დავასაფლავეთ...“

ბევრი სიძნელე შეხვდა ეთერს ფრონტზე ყოფნისას, მაგრამ თავს არ ზოგავდა და სადაც შველა იყო საჭირო, იქ იყო ყოველთვის.

შემდეგ გავიგე: ფრონტზე ყოფნის დროს გადაიტანა პარტახტიანი ტიფი, აწუხებდა რადიკულიტი, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა.

დიდი სამამულო ომის წლებში ეთერ მრევლიშვილმა-ვორონინამ გაიარა სახელოვანი გზა ტულიდან შტეტინამდე. მან მიიღო სარდლობის მრავალი მადლობა და სიგელი.

დემობილიზაციის შემდეგ ეთერიმ მუშაობა დაიწყო მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტში აკადემიკოს ა. ვ. ვიშნევსკის ხელმძღვანელობით. იგი სისტემატურად აწარმოებდა კვლევით მუშაობას შოკისა და ტრავმატულ დაავადებათა საკითხებზე. მან მრავალი ექსპერიმენტული სამუშაო ჩაატარა და, სპეციალისტების აზრით, გამოიმუშავა მთელი რიგი სიახლენი შოკის გამომწვევი მიზეზების გამოსარკვევად. ეთერ მრევლიშვილი-ვორონინა იყო მოსკოვის ქირურგიული საზოგადოების წევრი.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ე. მრევლიშვილმა



**ბლინდაჟში.**
**ეთერ მრევლიშვილი (მარცხნივ) სისხლ უსხამს დაჭრილ მეომარს.**

დაწერა დისერტაცია თემაზე: „ნერვული და სისხლძარღვული ტონუსის ფუნქციური მდგომარეობის როლი ტრავმატული შოკის დროს“, მაგრამ მისი დაცვა ველარ მოასწრო.

**კლარა ხოჭოლავა,**
საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი,
თადარიგის გვარდიის მაიორი.

# თეთრი ღამე

ბაბი სვანი



მხატვარი ლია სვანიძე

ზაფხულის ღამეებში, როცა თეთრი ქალაქის ქუჩებში დგას გამჭვირვალე ბინდი, ნევის სანაპიროზე საათობით დგანან წყვილები და ბედნიერებივით ჩურჩულებენ.

მასაც ამ თეთრმა ღამეებმა გაუფრთხო ძილი. ოთახი დატოვა და ნევის სანაპიროზე გავიდა. მიდიოდა ნელა, ისე, თითქოს პაემანზე ელოდა ვინმეს.

პეტრე პირველის ქანდაკებასთან კვარცხლბეკზე მიყრდნობილ ცალხელა ფარაჯიანს მოჰკრა თვალი. მარჯვენა იღლიაში მომწყვდეულ ასანთს მარჯვენა ხელითვე ანთებდა ბრგე ვაჟკაცი და ვერ აენთო. ქალმა გადაუხვია მისკენ, ასანთი სთხოვა, დაგეხმარებითო.

— მე თვითონ, — მოკლედ მოუჭრა მამაკაცმა და რაღაც მკვახე უნდოდა დაემატებინა, რომ ქალის გარეგნობით განცვიფრებული, თავისდაუნებურად მოლბა. თლილ თითებში მილეული ასანთის ალზე პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა და მოგონების ბურუსში გაეხვია. ქალმა მოაგონა ის ქალიშვილი, რომელიც თბილისში შემთხვევამ შეახვედრა და გული სამუდამოდ დაუკოდა. ნათლად წარმოუდგა რუსთაველის გამზირი და ის ადგილი, სადაც მწვანეკაბიანმა მის წინ წაიბორძიკა.

— გაგთვალეთ, განა? არ უნდა გაჩენილიყავით ასეთი ლამაზი, — უთხრა და ხელი შეაშველა.

ამ დღიდან დაიწყო მათი მეგობრობა, ის დღითიდღე იზრდებოდა, მანძილი კი ლენინგრადსა და თბილისს შორის თითქოს თანდათან მცირდებოდა, რომ მოულოდნელად ომი გამოცხადდა და ცხოვრების ჩარხი უკუღმა შემოტრიალდა.

ლენინგრადიდან მივლინებით ჩამოსული ახალგაზრდა ინჟინერი იური კუზმინი სასწრაფოდ გაიძახეს უკან. განშორებისას დუმდნენ, რამდენი კი ჰქონდათ სათქმელი! იურიმ ერთი-ღა სთხოვა: თუ ლენინგრადში თეთრ ღამეებს ოდესმე უჩემოდ შეხვდე, ის კაბა ჩაიცვი, ჩვენი პირველი შეხვედრისას რომ გეცვაო.

და აი, ახლა, ლენინგრადის თეთრი ღამის შუქზე, მის წინ იდგა ქალი მწვანე კაბით და შავი სარტყელით.

„ის არის თუ მისი ორეული? — გაუელვა გულში და ოცნების ცხადში გადმოტანა გაუძნელდა. უკან დაიხია. კბილებში მომწყვდეული პაპიროსი ხარბად მოქაჩა. ქუდი მოიხადა, ფართო შუბლზე ჩამოყრილი ჭაღარაშერეული წაბლისფერი თმა თავის აქნევით უკან გადიყარა. შუბლს სიო მოხვდა, გამოფხიზლდა. კიდევ შეხედა ქალს და ახლა ქალს შეუგუბა ღელვამ სუნთქვა: „ის არის თუ ორეულია მისი? მაგრამ სამგლოვიარო ბარათი? არა! შეუძლებელია“! — ებრძოდა ქალი ფიქრებს.

ქალის გაფითრებამ მამაკაცს ეჭვი დაუდასტურა. ცოტაც და ალბათ, ვეღარ მოითმენს, ხალს მოუძებნის, მარჯვენა ყურთან რომ აქვს მიმალული...

ასე ძგერდა ორი გული, როდესაც მათ წინ მსუბუქი მანქანა გაჩერდა, კარი გაიღო და მანქანიდან გადმოსული მძღოლი მხედრულად მიესალმა ფარაჯიანს. დაგვიანებულმა და დაფანტულმა პასუხმა მძღოლს აგრძნობინა, ზედმეტი ხარო. ქალი შეათვალიერა და უფროსს ნებართვისთვის მიუბრუნდა, — აქვე ნაცნობი მყავს, ვინახულებ, უმალვე დავბრუნდებით.

იური მიუხვდა, უხერხულობა იგრძნოო, და მოულოდნელი განცდა რომ დაეფარა, ნაბიჯი მანქანისაკენ გადადგა, მაგრამ ისევ შეჩერდა. წასვლა უმძიმდა, ანდამატივით იზიდავდა ეს ადგილი, ეს ქალი.

მძღოლი გაკვირვებით მისჩერებოდა პოლკოვნიკს. ასეთი არასოდეს ენახა იგი. იქაც კი, სადაც ტყვიით იცხრილებოდა მიდამო და ჯოჯოხეთად ქცეული დედამიწა ყოველი კუთხიდან სიკვდილს უქადდა, ერთხელაც არ შემდრკალა იური კუზ-

მინი. ახლა რა მოუვიდა? ან რატომ ხვდება მუდამ უთქმელი კაეშნით თეთრ ღამეებს? რად შეუყვარდა ამ თეთრ ღამეებში განმარტოება? „მოიცა, მოიცა, — ცდილობდა განვლილის აღდგენას: — ჩემი მეთაური იას გულგრილად ვერ უყურებდა... ია ჩემს საცოლეს ჰქვიაო, იტყოდა. ერთხელ, ადრე გაზაფხულზე, მტრის ბანაკს ცოცვით რომ ვუახლოვდებოდით, ბუჩქის ძირას იას მოჰკრა თვალი. შენ აქ არ დაგტოვებო, უთხრა და მოსაწყვეტად წაეტანა. ყვავილი მოწყვიტა და ნაღმის აფეთქებას ბეწვზე გადაურჩა. უკრაინის ფრონტზე მძიმედ დაჭრილსაც ხომ იის კონამ მოჰგვარა პირველი ღიმილი... ან ის ბარათი, ხელის მოჭრის შემდეგ თბილისში რომ გამაგზავნინა, კუზმინი დაიღუპაო. რამდენი ვემუდარე, ნუ იზამ, ცოდვაა-მეთქი ქალი... არ დამიჯერა: ლამაზი ქალი ცალხელა ქმრის ხელში იქნებაო ცოდვა, მითხრა". ფიქრში გართული მძღოლი ქალის ნაბიჯების ხმამ გამოაფხიზლა. წასულა.

ნევის სანაპიროდან დაძრული მანქანა ქალს შორიახლო მიჰყვა. უხალისოდ მიმავალი ქალი ირგვლივ ვეღარაფერს ამჩნევდა. გულგრილად ჩაუარა ისაკის ტაძარსაც, რომლის სიდიადე წეღან ასე ხიბლავდა. უღონოდ გადასჭრა გზა და ზანტად ავიდა ნაცრისფერი შენობის კიბეზე. ის იყო, ორივე ხელით მძიმედ შეაღო სადარბაზო კარი, რომ, ვინ გნებავთო, — მოესმა ჯარისკაცის შეკითხვა.

ქალმა შეათვალიერა იქაურობა, ეუცხოვა და დაბნევით მიუგო:

— მგონი, შევცდი, მე „ასტორია" მინდოდა. იქ ჩემები არიან, საქართველოდან.

და ამ დაბნევით კიდევ უფრო დაბნეული დაეშვა კიბეზე. კარი პორტიემ გაუღო.

შენობას რომ გვერდით ჩაუარა, დროზე ვერ მოზომა მანძილი მძღოლმა, ვერ მოასწრო მანქანის დამუხრუჭება და გზაზე ლანდივით გამოსულ ქალს უცაბედად გაჰკრა ფრთა. ქალი ჩაიკეცა. იურიმ განწირულად შეჰკივლა, მანქანიდან გადმოხტა, ქალი მარჯვენა ხელით აიტაცა. გაფითრებული სახის შემყურემ, მაშინღა ამოისუნთქა მხოლოდ, როცა ქალმა თვალი გაახილა და გაოცებით შეხედა.

„ეს ხომ ის არის, იქ რომ იდგა!.. რა მოხდა, რატომ ვარ აქ, ამ ყოფაში", — გაუელვა ჯერ კიდევ გონებადანისლულს და მარწუხივით შემოჭერილ მკლავიდან განთავისუფლება სცადა, მაგრამ ეს არც ისე ადვილი გამოდგა. კიდევ იძალა, კიდევ ამაოდ. მერე ისევ გამოითიშა, აირია, მოითენთა, მოდუნდა: რამდენს გაუძლებს ნატანჯი გული! ცოტაც და გაჰქრა ყველაფერი, ძველი გრძნობების გარდა...

ორივე ხელი მოხვია იამ მამაკაცს და ქვითინით ამას-ღა ამბობდა:

— რატომ არა ხარ შენ იური კუზმინი!...

# გმირის ფოსტა

მდიდარი და მრავალფეროვანია ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, ზუგდიდელი მეჩაიეს თამარ ყუფუნიას ფოსტა. საიდან არ მოდის წერილები და დეპეშები — მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ალმა-ატიდან, ოდესიდან, სევასტოპოლიდან, ერევნიდან, კომსომოლსკიდან, აგრეთვე, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან და სხვა ქვეყნებიდან...

წერილებს იწერებიან სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები — პიონერები, ჯარისკაცები, წარმოების ხელმძღვანელები, შრომის ნოვატორები. ყველას სურს გაიგოს თამარის ახალი მიღწევები შრომაში, გაეცნოს მის ცხოვრებას.

აი, ეს წერილები:

„ყოველთვის დიდი სითბოთი ვიგონებ თქვენი ლამაზი, ლაჟვარდოვანი რესპუბლიკის მაღალ მთებს, მარადმწვანე ჩაის პლანტაციებს, სადაც თქვენ, ქართველი ქალები, შრომით სასწაულებს ახდენთ, — წერს ლენინგრადელი გიორგი სოლოვიოვი. — მინდა, ყველას მაგივრად, ვინც ამ მზიური ქვეყნის შესანიშნავ ჩაის სვამს, გითხრათ დიდი მადლობა. მინდა, გისურვოთ მრავალ წელს ჯანმრთელობა და ბედნიერი ცხოვრება".

საინტერესოა მეორე წერილი, რომელიც სამხედრო ნაწილიდან არის გამოგზავნილი:

„ჩვენი ქვეგანაყოფის ჯარისკაცები თქვენი და თქვენი ბრიგადის წევრების შრომით საქმეებს კარგად ვიცნობთ. გვაინტერესებს, შვიდწლედის მეშვიდე წელს როგორი მიღწევებით ამთავრებთ? როგორ პასუხობთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს? გვახარებს თქვენი შრომითი საქმეები, თქვენი გმირული მიღწევები. ვამაყობთ თქვენით და პირობას გაძლევთ, ვიყოთ მამაცი ჯარისკაცები, რათა დავიცვათ თქვენი მშვიდობიანი შრომა სამშობლოსა და ხალხის სასარგებლოდ.

ჯარისკაცული სალამით, № ნაწილის მეომართა სახელით ერმაკ ცარიოვი".

— ამ წერილს კი ალმა-ატიდან მიგზავნიან ჩემი პატარა მეგობარი პიონერები, — ღიმილით ამბობს ორგზის სოციალისტური შრომის გმირი და წერილს გვაწვდის. — მათ ყოველთვის სიამოვნებით ვპასუხობ. „ვაგროვებთ მასალებს კომუნისტური შრომის ბრიგადის საქმიანობაზე, — წერენ პიონერები. — თქვენი ბრიგადა კარგ სამსახურს გაგვიწევს ამ საქმეში. ამიტომ გვინდა, მეტი ვიცოდეთ თქვენზე და თქვენს ბრიგადაზე, რათა მოგბაძოთ შრომაში, ცხოვრებაში."

ჩვენი ყურადღება მიიპყრო საზღვარგარეთულმარკიანმა კონვერტებმა. ეს თამარმაც შენიშნა და ერთი მათგანი მოგვაწოდა.



— ეს ჩემი ძველი მეგობრის ბარათია, — გვითხრა მან. — რუმინელი ტუდორა პირლოგი თერთმეტი წლის წინათ გვეწვია ზუგდიდში და მაშინ დაიწყო ჩვენი მეგობრობა. წელსაც არ დამივიწყა და მეც გულთბილი პასუხი მივწერე.

ტუდორა პირლოგი რუმინეთში ცხოვრობს. გმირულმა საქმეებმა დაამეგობრა ეს ორი ადამიანი. სიშორე როდი უშლის ხელს ამ მეგობრობას. წერილებს მიაქვთ ორივესთან ფიქრები, მიზნები და ცხოვრების დიდი გამოცდილება.

თამარ ყუფუნიას არ ეზარება უპასუხოს ყველას, მისწეროს თავის ცხოვრებაზე ყველაფერი.

63 წლის თამარი 23 წელზე მეტია ბრიგადირად მუშაობს. მის ბრიგადაში 16 სოციალისტური შრომის გმირია და 27 ლენინის ორდენოსანი. ისინი ბრიგადის სხვა წევრებთან ერთად თავდადებით შრომობენ და შედეგებიც სასახელო აქვთ.

უფრო მეტი მონდომება იგრძნობა წელს ბრიგადაში: გადაბარვა, მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა, გასხვლა და სხვა სამუშაოები ხარისხოვნად ჩაატარეს, კარგად მოემზადნენ კრეფის სეზონისათვის. წელს ბრიგადა სამშობლოს 130 ტონა ჩაის ფოთოლს პირდება. სიმინდის უხვი მოსავლის მიღებაშიც ისახელებენ თავს. 65 ცენტნერი თითოეული ჰექტარიდან! — ასეთია მესიმინდეთა დევიზი.

გმირთა ბრიგადა წელს სამეურნეო ანგარიშზე იმუშავებს.

...კიდევ ბევრ რამეს მოუთხრობს თამარი საპასუხო წერილებში, უზიარებს მეგობრებს თავისი მუშაობის მდიდარ გამოცდილებას, ასწავლის შრომის, სიცოცხლისა და სამშობლოს სიყვარულს.

გ. ნოდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული კულტურის საგანძური

ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან ოცნებობდა ქართველი საზოგადოება ეროვნულ მუზეუმზე, რომელიც ფართოდ წარმოადგენდა ქართველი კულტურის განვითარების გზას და მის მიღწევებს. ამ მიზნით, ქართველი პროგრესული ინტელიგენციის თაოსნობით იქმნებოდა სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებანი, საუწყებათშორისო თუ კერძო მუზეუმები, სადაც თავს უყრიდნენ ძვირფას კოლექციებს. შეიქმნა ფერწერის, ხელნაწერების, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა კოლექციები. ყალიბდებოდა საუწყებათშორისო საზოგადოებანი: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი, ისტორიის, საეკლესიო სიძველეთა, ეთნოგრაფიის და არქეოლოგიის...

ამ საზოგადოებებმა დიდი როლი შეასრულეს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში, მაგრამ ეროვნული ხელოვნების მუზეუმის შექმნა ისევ განუხორციელებელ ოცნებად რჩებოდა. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ შეასხა ფრთა ამ ოცნებას. საბჭოთა მთავრობამ ხალხის მიერ შექმნილი საუნჯე ხალხის საკუთრებად გამოაცხადა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებში დაარსდა საქართველოს სურათების ეროვნული გალერეა, ხოლო 1934 წელს — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ამჟამად. ჩვენი მუზეუმი ერთერთი შესანიშნავია საბჭოთა კავშირში თავისი მდიდარი და მაღალმხატვრული ექსპონატებით.

ხელოვნების მუზეუმის ფონდები შექმნილია სურათების ეროვნული გალერეის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის, საეკლესიო სიძველეთა საზოგადოებების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების კაბინეტის ბაზაზე. ამ მასალებს დაემატა რუსული მუზეუმების: „ერმიტაჟის", ტრეტიაკოვის გალერეის, აღმოსავლეთის ქვეყნების მუზეუმის და სხვათა მიერ გადმოცემული ექსპონატები.

მუზეუმის კოლექციები შეივსო 1948 წელს საფრანგეთიდან ჩამოტანილი იმ ნაწარმოებებით, რომლებიც მენშევიკურმა მთავრობამ გაიტანა საქართველოდან 1921 წელს.

ამჟამად მუზეუმის ექსპოზიციაში შემდეგი განყოფილებებია: ქართული, რუსული, საბჭოთა ხელოვნების, დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთ ქვეყნების ხელოვნების განყოფილებანი.

ქართული ხელოვნების განყოფილებასთან არსებობს სეიფი, სადაც წარმოდგენილია ლითონის მხატვრულად დამუშავების სხვადასხვა სახეობანი (ჭედურობა, სევადი, გრეხილური, ზარნიში და სხ.), დაწყებული VI საუკუნიდან XIX საუკუნის ბოლომდე.

დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობს ე. წ. „გელათის ტონდო", დავით კუროპალატის ჯვარი, ლაკლაკიძეების ხატი, სოლოღაშენის ლორფინები, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ჯვრები, ხახულის ხატი, ჩხოროწყუს თასი, ეკატერინე ჭავჭავაძის სამკაულები, ქართული სასმისები და სხვა მრავალი.

ლითონის მხატვრულად დამუშავების ქართულმა ნიმუშებმა საპატიო ადგილი დაიკავა მსოფლიო კულტურის საგანძურში.

აქვეა ქართული ტიხროვანი მინანქრის უნიკალური კოლექცია **VII-XV** საუკუნეებისა.

მუზეუმში წარმოდგენილია ქართული კულტურის განვითარების ძირითადი პერიოდები, დაწყებული IV საუკუნიდან, დღემდე. აქ თავმოყრილი ექსპონატები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ჩვენი ხალხის უძველეს და თვითმყოფად კულტურაზე.

ფეოდალური ხანის ხელოვნების განყოფილებაში ექსპონირებულია უძველესი ქართული არქიტექტურის ძეგლები (ბოლნისი, მცხეთის ჯვარი, იშხანი, ხახული, ბანა, გელათი, კაცხი, ნიკორწმინდა და სხვა), ქართული მონუმენტური ფერწერის ასლები და, ნაწილობრივ, დედნები-მოზაიკებისა და ფრესკებისა (ბიჭვინთის, წრომის და გელათის მოზაიკები, ატენის, დავით გარეჯის, ბეთანიის, ყინწვისის და სხვა ფრესკები). თვალს იტაცებს ხეზე და ქვაზე კვეთილობის მაღალმხატვრული, დიდი ტექნიკური ოსტატობით შესრულებული ნაწარმოებები, ქართველ ქალთა მიერ გემოვნებითა და ოსტატობით შესრულებული ქართული ხელსაქმის ნიმუშები.

საბჭოთა განყოფილებაში უხვადაა წარმოდგენილი ქართველი საბჭოთა მხატვრების როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობის ნამუშევრები (დაზგური ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები).

სრულიად სამართლიანად ამაყობს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი რუსული სახვითი ხელოვნების ნიმუშებით. მის ფონდებშია ხატწერის, დაზგური ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკისა და კერამიკის მეტად საინტერესო ნაწარმოებები.

ყურადღებას იპყრობს ლევიცკის, ვ. ა. ტროპინინის, პ. ი. ფედოტოვის, ბოროვიკოვსკის, კრამსკოის, პეროვის, რეპინის, აივაზოვსკის, კუინჯის, რუბოს, სამოკიშის, შიშკინის, მაკოვსკის, ბოგოლუბოვის, სურიკოვისა და სეროვის ფერწერული ტილოები, გრ. გაგარინის, ჰორშელდის, ვრუბელის, ლაგორიოს, რერიხის და სხვათა გრაფიკული ნამუშევრები.

აქ თავმოყრილია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის და XIX საუკუნის საიმპერატორო და კერძო პირთა ფაიფურისა და შუშის ქარხნების საინტერესო ნაწარმოებები. ქანდაკებებიდან აღსანიშნავია ანტოკოლსკის, ტრუბეცკოის, ლანსერეს, ტოლსტოის და სხვათა ქანდაკებები და რელიეფები.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელოვნების განყოფილებაში წარმოდგენილია იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის, ესპანეთის და სხვა ქვეყნების ხელოვნების სხვადასხვა პერიოდების ნაწარმოებები (ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, კერამიკა). უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აღვნიშნოთ XIV საუკუნის იტალიელი მხატვრის პაოლო ვენეციანოს პოლიპტიქი, მარკო რიჩის, გვიდო რენის, კრანახის, რეისტალის ტილოები, როდენის და კანოვას ქანდაკებები, დიურერის, რემბრანდტის და სხვათა გრაფიკული ნაწარმოებები...

ჩინეთის, იაპონიის, ინდოეთის, ირანის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები: ხალიჩები, სხვადასხვა სახის ქსოვილები, ხეზე, ძვალზე კვეთილობის, მინანქრის, კერამიკის და სხვა სახეობათა ნაწარმოებებია ექსპონირებული აღმოსავლეთ ქვეყნების ხელოვნების განყოფილებაში. აქვეა ირანული ფრესკების (XVIII საუკუნე) ასლები.

მუზეუმი ყოველწლიურად მდიდრდება და იზრდება ახალ-ახალი საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით.

**ირ. უზნაძე,**
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყინცვისი.
ანგელოზი „მაცხოვრის აღდგომის" კომპოზიციიდან XIII საუკუნის დასაწყისი.

გ. გაბაშვილი — მთვრალი ხევსური.



ლუკას კრანახი (უფროსი)—მაჭანკალი ქალი.



ნ. ფიროსმანაშვილი — მედუქნეების ნადიმი.



ვ. ა .სეროვი — მურომცევის პორტრეტი.





ბიჭვინთა. ტაძრის ნანგრევების იატაკის მო-
ზაიკა. V საუკუნე.

ქართული მინანქარი.







ბედია — ოქროს ბარძიმი.



ზ. ქიქოძე — ლუქსემბურგის ბაღი.



ი. ი. ნიკოლაძე — ქარი.



ზარზმა — ლაკლაკიძეების ხატი.

ოგიუს როდენი — მუდმივი გაზაფხული.

დ. კაკაბაძე — დედის პორტრეტი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ა. ვრუბელი — დემონი







ლ. გუდიაშვილი — პორტრეტი.

ზოვლე. კანკელის ფილა XI—საუკუნე

უბისი. ხარება. XIV—საუკუნე.



# ცხოვრების ერთი ფურცელი



ხუდადოვის ქუჩის აღმართი კითხვა-კითხვით აიარა, მერე ერთ სახლთან შეჩერდა. სახეზე მღელვარება დაეტყო, ალაყაფის კარი მოუთმენლად შეაღო, წინ ქალი შეეფეთა. ქალს მხარდამხარ მოჰყვებოდა ჩემოდნებით დატვირთული კაცი. ცოლ-ქმარმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს კითხვის თვალით, მერე უცნობზე გადაიტანეს მზერა. უცნობი სახეგაბრწყინებული მისჩერებოდა ქალს. ქალი უცნობს დააკვირდა. მეხსიერებაში გაიელვა ბურუსით მოცულმა, შორეულმა, მაგრამ მაინც ძალზე ნაცნობმა სახემ. მერე ნელნელა გაიფანტა ბურუსი და...

— მიშა, მიხეილ ხუტორინ. საიდან, ძმაო? — ხელები გაშალა. მიხეილი ხელებში მიწვდა ქალს, უკოცნიდა ხელებს, „ამ პატარა თითებმა შემინარჩუნესო სიცოცხლე“, — ლუღლუღებდა იგი. როგორც იყო, თავს მოერია, ახლა მამაკაცს მიუბრუნდა და მობოდიშებით უთხრა:

— მაპატიე, მეგობარო, ქრისტინე ჩემი ფრონტელი დობილია. თუმც ჩემზე პატარაა, მაგრამ ჩემი მეორე დედაა იგი.

ომგადახდილმა გიორგიმ გულღია ღიმილი შეაგება მიხეილს, გულში ჩაიკრა. იმ საღამოს სოფელში წასვლაზე არავის უფიქრია, ქრისტინე და გიორგი თავს დატრიალებდნენ სტუმარს. გათენებამდე ისხდნენ მეგობრები სუფრასთან, ლაპარაკობდნენ მძიმე დღეებზე, იგონებდნენ. მოსაგონარი კი ძალიან ბევრი ჰქონდათ...

იმ დღეს სამშობლოს დასაცავად ქრისტინეს ოჯახიდან ოთხი წავიდა: ქრისტინეს ძმა ქერჩს გაამწესეს, სიძეები იოსებ კასრაძე და ქრისტეფორე კიკვიძე — სტალინგრადს, ქრისტინეს კი კიევისაკენ მიაქროლებდა მატარებელი.

ქრისტინე შუბლით მიყრდნობოდა სარკმელს: გაპარტახებული ეზოები, ნატყვიარი, ტოტებშემოძარცული ხეები, ფანჯრებჩალეწილი სახლები, ნანგრევებადქცეული ქალაქები და სოფლები შიშის ზარს სცემდა, შურისძიების ცეცხლით ავსებდა ჩვიდმეტი წლის გოგონას.

სამი თვე მიდიოდა მატარებელი, მიდიოდა და ჩერდებოდა. აფეთქებდნენ გზებს, ზანზარებდა ცეცხლწაკიდებული მიწა. მერე წმენდნენ გზებს და ისევ მიდიოდა მატარებელი.

...კიევთან ახლოს, ტყეში, სახელდახელოდ გამართულ საველე ჰოსპიტალში მოუხდა ქრისტინეს მუშაობა. ქვემეხთა ლულებიდან გამოვარდნილი ცეცხლი და ალმური ხეთა კენწეროებს ედებოდა, მერე კვნესით წვებოდნენ ხეები მიწაზე. ჰოსპიტალში ყოველ წუთში მოჰყავდათ მძიმედ დაჭრილები.

— მიშველე, დაო, — გამუდმებით ესმოდა ქრისტინეს...

საკაცე საკაცეს მოსდევდა. უკანასკნელ ძალას იკრებდა ექიმი ნინო ბაქრაძე, უკანასკნელ ძალას იკრებდა საოპერაციო და ქრისტინე ოსაძე. აღარც კი ახსოვდა, როდის ეძინა, ან როდის წაიხემსა. კიდევ ერთი მძიმედ დაჭრილი, და მერე შეიძლება წუთით მაინც შეისვენოს. მაგრამ ისევ გაიღო კარი, სანიტრებმა საკაცე ფრთხილად შემოიტანეს და გონმიხდილი ვაჟკაცი მაგიდაზე დააწვინეს. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. შუბლზე ჩამოშლილ თმას სისხლი შეხმობოდა. ოპერაციამ ისე ჩაიარა, კუნთიც არ შერხევია ვაჟკაცს სახეზე. ქრისტინე მთელი ღამე თავთან უჯდა დაჭრილს, მთელი ღამე მომაკვდავის ძლივსმფეთქავი მაჯა ეჭირა ხელში.



დილით დაჭრილი შეინძრა, მძიმედ ასწია ქუთუთოები და „ვაი დედაო!“ — ქართულად წამოიკვნესა. ქრისტინეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ორი თვე იწვა სიმონ სარჯველაძე ჰოსპიტალში, ორი თვე ქრისტინეს თავდადებული შრომა და მშობლიური სითბო სიცოცხლის ძალას

მატებდა სიმონს. შემდეგ კი გამოჯანმრთელებულ სიმონს და სიმონთან ერთად სხვა ბევრ ჯარისკაცს გზა დაულოცა ქრისტინემ და ფრონტზე გააცილა.

... მტერი ნელნელა იხევდა უკან, შორიდან მოდიოდა ზათქისა და გრგვინვის ყრუ ხმები. ქრისტინე კვალდაკვალ მიჰყვებოდა ამ ხმებს. პოლონეთის საზღვართან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა. მთელი ღამე გუგუნებდა ცაში თვითმფრინავის მოტორები. მთელი ღამე სკდებოდა ნაღმები, ზენიტები სერავდნენ ცას. დენთისა და სისხლის სუნი ტრიალებდა ჰაერში. ქრისტინეს და ნინოს გზა აერიათ, მთელი ღამე წელამდე ჭაობში ჩაფლულნი ეკვროდნენ ერთმანეთს. და როცა მტერი უკუიქცა, კოლეგებმა ძლივს იპოვეს გათოშილი ქალები. მერე ჰოსპიტალი ერთ პატარა სოფელში დაბანაკდა.

გარეთ ცივი ქარი ქროდა, ყინავდა, არც სითბო იყო, არც განათება. ბნელ ტალანებში ფეხის წვერებზე დადიოდა ქრისტინე. აქ შეხვდა იგი მიხეილ ხუტორინს. მძიმედ დაჭრილი მიხეილი სიკვდილს ებრძოდა, „ნუ მომკლავთო, — იხვეწებოდა. — სახლკარი გადამიწვეს, ოჯახი ამიწიოკეს, ჯერ კიდევ უნდა ვიძიო შური", — ყვიროდა სიცხისაგან გათანგული. ქრისტინე წუთით არ ტოვებდა დაჭრილს, ძალით უღებდა პირს და ისე აჭმევდა. ნელნელა მოიკეთა მიხეილმა.

— ცოტა კიდევ და, სიარულს გასწავლი, — ეხუმრებოდა ქრისტინე. მაგრამ ფაშისტები თავს დაესხნენ ჰოსპიტალს, ცეცხლის ალში გაახვიეს იგი, ცას წვდებოდა უმწეო ადამიანების კვნესაწუხილი. ქრისტინე მიხეილთან მიიჭრა, სამშვიდობოს გაიტაცა, მერე, ალბათ, სათვალავი არ ჰქონდა, თუ რამდენი სიცოცხლე გამოსტაცა ხახადაღებულ ხანძარს...

... როცა საბჭოთა ჯარებმა მოწინააღმდეგის საზღვრები გადალახეს, ჰოსპიტალი გერმანიის ერთერთ ქალაქში—ლიბნიცაში გადავიდა. აქ მოუსწრო გამარჯვების დღეებმა. ომი დამთავრდა. ქრისტინემ ერთი წელი კიდევ დაჰყო აქ. ვერ მიატოვა აუტანელი სიძნელეების გადამლახველი, ახლა კი დაუძლურებული, ღონეგამოცლილი ადამიანები, რომლებიც ომის გამჩაღებლებს წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ. და ამ უცხო ცის ქვეშ, ამ უცხო ადამიანების მიმართ ქრისტინე ისეთივე სათნო და ყურადღებიანი იყო, როგორც ყოველთვის. არ თავდებოდა უძილო ღამეები და მოუსვენარი დღეები...

1946 წლის ბოლოს ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული, მთავარსარდლის მიერ ხელმოწერილი მადლობებით დაჯილდოებული ქალიშვილი შინ დაბრუნდა.

...ცხრამეტი წელია თბილისის პირველ სამშობიარო სახლში მუშაობს ქრისტინე ოსაძე, ცხრამეტი წელია კლინიკურ ლაბორატორიაში მიკროსკოპს ჩაჰკირკიტებს, ციფრებს ითვლის, აჯამებს, ხან გაუბრწყინდება სახე, ხან კი შეშფოთების იერი დაჰკრავს. ხშირად შინ მიაცილებს ქრისტინეს ავადმყოფზე ფიქრი და დარდი. ისევ ტყდება ღამეები...

ოლია რევია



# სალარო № 3525

— სინათლის სხივივით შემოიჭრება ეს ცქრიალა გოგონა ჩვენს მყუდრო ბინაში... მე შენ გეტყვი-და, დააგვიანებს. კაცმა რომ თქვას, რა ვალდებულია, ეს დალოცვილი.

— ამ საქმეს სწორედ ასეთი დაუზარელი გოგონა უნდა. ხომ ხედავ, წუთსაც არ ჩერდება, აქედან პირდაპირ ლერმონტოვის ქუჩაზე მიდის, ვალენტინა პონდოევასთან.

...ასეთი საუბარი იმართება პერსონალურ პენსიონერებს—ვერა და ოლღა ბაბუნიძეებს შორის, როცა კალინინის რაიონის ცენტრალური შემნახველი სალაროს კონტროლიორი დოდო ლოლობერიძე პენსიას მიუტანს.

ვერა და ოლღა დები არიან, ღრმად მოხუცები, ხშირად ავადმყოფობენ. ამიტომ დოდო ლოლობერიძეს მათთან ბინაზე მიაქვს პენსია. დაჰქრის დაუზარელი გოგონა ბინიდან ბინაზე, კარიდან კარად და უკან მიჰყვება პენსიონერების მადლობა.

პენსიონერი ნატალია კანდელაკი ავად გახდა. მის მაგივრად მისმა შვილმა გალინა კანდელაკმა მიაკითხა პენსიას.

— თქვენ ხომ მახარაძის ქუჩაზე ცხოვრობთ? შორს სიარულით რომ არ შეწუხდეთ, განცხადება დაწერეთ და თქვენს საბუთებსა და პენსიას თქვენი ბინის მახლობლად მდებარე სალაროში გადმოვაგზავნით, — უთხრა გალინას ცენტრალური შემნახველი სალაროს გამგემ.

მადლობის მეტი რა ეთქმოდა გალინა კანდელაკს! და განა მარტო გალინა კანდელაკი, ბევრი, ძალიან ბევრი მადლიერი მეანაბრე ჰყავს № 3525 შემნახველ სალაროს.

პატიოსანი და კეთილსინდისიერი მუშაობის ბევრ მაგალითს შენვდებით სალაროს „საჩივრისა და წინადადებების წიგნში".

„მე პენსიონერი ვარ, სამსახურიდან გადამდგარი მაიორი, — წერს ი. ხორომეხი,—მსურს მადლობა გადავუხადო შემნახველ სალაროს მუშაკს ლიანა ყიფშიძეს კლიენტებთან თავაზიანი და კულტურული დამოკიდებულებისათვის, სწრაფი და უნაკლო მუშაობისათვის."

ბაბილინა რობაქიძე, ლიზიკო კაზაროვა, ლამარა ნადარეიშვილი, ტაისა ვავიანი, ელენე ლვინიაშვილი, ნათელა პაპიაშვილი... რომელი ერთი დავასახელოთ. შემნახველი სალაროს თითოეული მუშაკი ცდილობს, რაც შეიძლება თავაზიანად და გულისხმიერად მოეპყრას მეანაბრეებს, პენსიონერებს და ყველა კლიენტს.

აი, თუნდაც ბერტა ლასბერგი, — ცენტრალური შემნახველი სალაროს საოპერაციო ნაწილის გამგე. თითქმის სამი ათეული წელია აქ მუშაობს და ერთი შენიშვნაც არ მიუღია. სათნოებით, კულტურული და მუყაითი მომსახურებით ყველა მეანაბრის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ბეჯითი, გულისხმიერი ამხანაგები უკეთესი მუშაობის სტიმულს აძლევენ ერთმანეთს. სწორედ ამიტომ გაიშალა ფართოდ აღნიშნულ შემნახველ სალაროში სოციალისტური შეჯიბრება კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელისათვის.

საპატიო წოდებისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს № 3525—0150, №3525—019, № 3525—021, № 3525—0137 და № 3525—044 დაქვემდებარებულმა შემნახველმა სალაროებმა, № 3525—0150 შემნახველ სალაროს გასული წლისა და კვარტალური გეგმების წარმატებით შესრულებისათვის გადაეცა გარდამავალი დროშა.

შემნახველ სალაროში ყოველწლიურად მატულობს მეანაბრეთა რაოდენობა. მას შემდეგ კი, რაც შემნახველი სალაროები მოსახლეობიდან კომუნალური მომსახურების გადასახადის მიღებას აწარმოებენ, საგრძნობლად გაიზარდა ოპერაციების რაოდენობა. გეგმების შესრულება სანაქებოა. გასულ წელს ანაბრის გეგმა 124 პროცენტით შესრულდა, სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გავრცელებისა — 162,4 პროცენტით, ფულისა და ნივთების ლატარიისა — 100 პროცენტით.

ეს წარმატებანი კომუნისტი ქალის, ძველი პარტიული მუშაკის, 1946 წლიდან დღემდე ამ სალაროს უცვლელი გამგის, საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის ელიკო ლასხიშვილის ენერგიული და უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგია.

...შარშან აპრილში ცენტრალურ შემნახველ სალაროს თანამშრომელთა სახელზე წერილი მოვიდა. კრასნოიარსკელი ბორის იზიუმოვი სთხოვდა სალაროს გაეგზავნათ მისთვის ყველა გამოშვების ლატარიის ბილეთი კოლექციისათვის, თან წერდა, 22 წელია მიჯაჭვული ვარ ლოგინზე და ჩემი ფეხი არასოდეს მიწაზე არ დადგებაო.

შემნახველი სალაროს თანამშრომლებმა ნინო გურეშიძემ და ტაია შურღაიამ ბორის იზიუმოვს ლატარიის ბილეთები გაუგზავნეს, მთელი კოლექტივის სახელით მეგობრობა შესთავაზეს და მისი ცხოვრების უკეთ გაცნობის სურვილი გამოთქვეს.

სულ მალე პასუხიც მიიღეს.

„შორს, ძალიან შორს არის ციმბირი საქართველოდან, თქვენი მშვენიერი, მზიური თბილისი ჩემი კრასნოიარსკიდან,—წერდა ბორისი,—მაგრამ თქვენი გულების სითბომ და მზრუნველობამ მანძილი გადალახა. სულ მალე 40 წელი შემისრულდება. 18 წლის ვიყავი, როცა ცენტრალური ნერვული სისტემის დამბლა დამემართა. 22 წელია ამ საშინელი ავადმყოფობის ტყვეობაში ვარ. თითქმის ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ, ძვირფასო მეგობრებო, როცა ცხოვრებაში ხვდები ისეთ შესანიშნავ ადამიანებს, როგორიც თქვენა ხართ, კვლავ გრძნობ ძალას და სიცოცხლე ისევ გიზიდავს, გინდა რაღაც შექმნა, რაღაც გააკეთო... მე ვინახავ ყველა თქვენს წერილს. ისინი ჩემთვის ძვირფასია. როდესაც სევდა შემომაწვება, ვკითხულობ მათ თანმიმდევრობით, პირველი წერილიდან უკანასკნელამდე."

ასე დამყარდა მეგობრობა ბორის იზიუმოვსა და ცენტრალურ შემნახველ სალაროს თანამშრომლებს შორის. თითქმის ყოველთვე იღებენ ბორის იზიუმოვისაგან წერილს და 1 მანეთს სამი ლატარიის ბილეთისთვის. თანამშრომლები 20 კაპიკს ამატებენ და ოთხ ბილეთს უგზავნიან. თითქოს არაფერია, მაგრამ ამ პატარა დეტალში ძალიან დიდი ადამიანობაა.

ახალმა მეგობრებმა ბორისს გაუგზავნეს კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა", ქართული ხილი და კოლექტიური სურათი. დაკვირვებულმა თვალმა იქ, ციმბირში, პატარა სურათიდან ძალიან ბევრი რამ ამოიკითხა. აი, რას იწერებოდა ბორისი ამის შესახებ: „ვუყურებ თქვენს ჯგუფურ სურათს და ვგრძნობ, რომ მასზე აღბეჭდილი არიან თანამშრომლები, დაკავშირებულნი ერთმანეთთან არა მხოლოდ საქმით, არამედ ნაზი სულიერი ძაფებით. მე ვხედავ სურათიდან, რომ თქვენ ერთმანეთისათვის ძალიან ახლობლები ხართ."

ეს მართლაც ასეა. აქ ყველა ერთისათვის არის და ერთი — ყველასათვის.

ზაირა აბესაძე



ნ. გურეშიძე და ტ. შურღაია კითხულობენ იზიუმოვის წერილს



ი. ლასხიშვილი ესაუბრება მეანაბრეს



დ. ლოლობერიძე (მარჯვნივ) პენსიონერის ოჯახში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კოოპერატორი

მას კარგად იცნობენ გარდაბნის რაიონის მშრომელები. იცნობენ როგორც ენერგიულ, გულმართალ და უანგარო მუშაკს. როცა რაიონის პარტიული ან სამეურნეო აქტივი შეიკრიბება რომელიმე მნიშვნელოვანი საკითხის განსახილველად, დარბაზში სხვებთან ერთად ყოველთვის ზის იგი, ყურადღებით უსმენს მომხსენებელსა თუ მოკამათეებს, თვითონაც ხშირად მონაწილეობს საკითხის განხილვაში; ზის იგი თავაწეული და მშვიდი, იმ ადამიანის იერით, ვინც პირნათელია და პატიოსანი საქმისა და ხალხის წინაშე.

თავს მხოლოდ მაშინ ხრის (და ეს არც თუ იშვიათად ხდება), როცა იტყვიან: ისევ გვასახელა ჩვენი რაიონის კოოპკავშირის კოლექტივმა, ხელიდან არ გაუშვა ცეკავშირის გამგეობის გარდამავალი დროშაო.

უხერხულებაში აყენებს ქება ოლია დუნდუას, რესპუბლიკაში მოწინავე კოოპერაციული ორგანიზაციის — გარდაბნის რაიკოოპკავშირის თავმჯდომარეს.

ვაჭრობა სახალხო მეურნეობის ერთერთი მნიშვნელოვანი და რთული დარგია. იგი საქმის ცოდნასთან ერთად მოითხოვს ორგანიზაციულ ნიჭს, ადამიანებთან ახლოს ყოფნას, მაღალ კულტურასა და პატიოსნებას. ოლია დუნდუამ კარგახანია დაიმკვიდრა კარგი ორგანიზატორისა და ნიჭიერი კოოპერატორის სახელი. ადვილი როდია სამი ათეული წლის განმავლობაში მომხმარებელთა მხოლოდ მადლობა დაიმსახურო.

კარგად ახსოვს, უკვე ხანდაზმულს, სიმწიფის ატესტატით ხელში როგორ მივიდა ამ ოცდახუთმეტი წლის წინათ აბაშის რაიონის სოფელ მარანის მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობაში და სამუშაო ითხოვა.

— რისი გაკეთება შეგიძლია, გოგონა? — ჰკითხეს მას.

— რა ვიცი. დამავალეთ რაიმე, გამომცადეთ.

სტაჟიორად მიიღეს, გამოცდილ მოანგარიშეს ჩააბარეს — აღრიცხვის დარგი შევასწავლოთო. და გოგონამაც შეისწავლა. მალე ბუღალტრად დანიშნეს. 6 წელი იმუშავა. მერე ოჯახს მოეკიდა და თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. მაგრამ რა გააჩერებდა სახლში! თბილისის რაიკოოპკავშირის ბუღალტრის მოადგილედ გაგზავნეს. არ გასულა დიდი ხანი და მთელი კოლექტივის ყურადღება მიიპყრო მუყაითობითა და კეთილსინდისიერებით. სამამულო ომის დღეებში ოლია რაიკოოპკავშირის ინსტრუქტორი იყო, დადიოდა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ტრიალებდა მეპაიეთა და მომხმარებელთა შორის, ამოწმებდა სავაჭრო ქსელის მუშაობას, შემჩნეულ დარღვევებსა და ნაკლოვანებებს იქვე ადგილზე ასწორებდა.

ომი რომ დამთავრდა ოლია დუნდუა დამზადების კანტორის მთავარ ბუღალტრად გადაიყვანეს. თითქმის რვა წელი იმუშავა ამ ადგილზე, საბუღალტრო-სააღრიცხვო დარგის აღიარებული მუშაკი გახდა. შემდეგ გარეუბნის რაიკოოპკავშირის მთავარი ბუღალტერი იყო, ცოტა უფრო გვიან — რაიკოოპკავშირის თავმჯდომარის მოადგილე და სავაჭრო განყოფილების გამგე. პირველ ხანებში შიშობდა: ვაი თუ თავი ვერ გავართვა საქმესო. თავს არ იზოგავდა, დღე და ღამეს ასწორებდა, მადლიერი რომ ყოლოდა მომხმარებლები, რაიონის სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელში სანიმუშო წესრიგი რომ ყოფილიყო, არ მოკლებოდათ სხვადასხვა ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი საქონელი.

უკვე სამი წელია ოლია დუნდუა გარდაბნის რაიკოოპკავშირის თავმჯდომარეა, იგი პირველი ქალია რესპუბლიკაში ამ თანამდებობაზე, ხოლო გარდაბნის რაიკოოპკავშირი სამი წელია ხელიდან არ უშვებს რესპუბლიკურ პირველობას. შარშან გარდაბნელმა კოოპერატორებმა საქონელბრუნვის წლიური გეგმა 101 პროცენტით შეასრულეს, მოსახლეობას გეგმის ზევით 160 ათასი მანეთის სამრეწველო, სამეურნეო საქონელი და კვების პროდუქტები მიჰყიდეს. უკეთესად მუშაობენ წელს.

ოლია დუნდუამ სამაგალითო მუშაობისათვის არაერთი ჯილდო და მადლობა დაიმსახურა. ამ ჯილდოებს შორის არის მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

მოწინავე კოოპერატორი კარგი დედა და შესანიშნავი დიასახლისიცაა. დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი იმ შეგნებით, რომ საქმე რიგზე დასტოვა, ბრუნდება ოლია საღამოს შინ, ქმარშვილთან, საყვარელ შვილიშვილთან. საოჯახო საქმეებით გართულს, ერთი წუთითაც არ ავიწყდება ის დიდი მოვალეობა, რომელიც მას, ვაჭრობის დარგის ხელმძღვანელ მუშაკს, აკისრია ხალხის, საზოგადოების წინაშე.

ა. კოკილაშვილი

# ორთოდონტი

ლამაზი კბილები ადამიანის გარეგნობის სამკაულია. თუმცა ბუნება ყოველთვის გულუხვი როდია. ზოგჯერ, ამ სამკაულს მოკლებულია რომელიმე გოგონა ან ვაჟი, რაც თვით ბავშვის, მისი მშობლებისა და მახლობლების გულისტკივილს იწვევს.

ამაზე უფიქრიათ ჯერ კიდევ ძველ ბერძნებს. მეცნიერების იმ დარგს, რომელიც არასწორად განვითარებულ, რკალგარეშე მდებარე კბილების გასწორების პრიმიტულ საშუალებებს იყენებდა, ბერძნებმა ორთოდონტია უწოდეს (რაც სწორ კბილებს ნიშნავს).

მე–17 საუკუნეში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ყბა-კბილთა მკურნალობას. ცნობილმა ფრანგმა ქირურგმა და კბილის ექიმმა პიერ ფოშარმა არასწორად განვითარებული კბილების გასწორებისათვის პირველად გამოიყენა მის მიერ კონსტრუირებული ლითონის ფირფიტოვანი რკალი, ხოლო 1889 წელს ედუარდ ენგლემ ჩამოაყალიბა თანკბილვის ანომალიების კლასიფიკაცია და შექმნა მექანოთერაპიული აპარატურა. ამით მან საფუძველი ჩაუყარა ორთოდონტიის განვითარებას.

. საქართველოში არ გვყავდა ამ დარგის სპეციალისტები. მართალია, პროფესორები ი. გაგუა და ა. ედიბერიძე დიდხანია მუშაობენ ყბა-კბილთა სისტემის არასწორი განვითარების და ტრავმული გამრუდებების წინააღმდეგ, მაგრამ მაინც, საჭირო იყო სტომატოლოგიის ამ განყოფილების გაზრდა. ამ მიზნით, საქართველოდან ლენინგრადში სხვადასხვა დროს გაიგზავნა რამდენიმე სტომატოლოგი ორთოდონტული საქმის შესასწავლად. ერთერთი მათგანი იყო ექიმი მარგარიტა სკანდაროვა.

სკანდაროვა თითით საჩვენებელი სტუდენტი იყო თბილისის სტომატოლოგიის ინსტიტუტში. ჯერ კიდევ სახელმწიფო გამოცდებს აბარებდა, ომი რომ დაიწყო. ვაჟები ფრონტზე წავიდნენ, ქალები გაანაწილეს. სკანდაროვა ბორჯომში მოხვდა. დიდხანს მუშაობდა იქ სტომატოლოგიური' კაბინეტის გამგედ. ამავე დროს, გაკვეთილებს აძლევდა ბორჯომის სამედიცინო ტექნიკუმში. მერე თბილისში გადმოვიდა, ბავშვთა ცენტრალურ სტომატოლოგიურ კლინიკაში.

მალე მარგარიტა სკანდაროვა მიავლინეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად ლენინგრადის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტის ორთოპედიული სტომატოლოგიის კათედრაზე ორთოდონტიის ციკლით. კათედრას განაგებდა პროფესორი ა. კატცი. კლინიკაში სკანდაროვას აინტერესებდა როგორ მკურნალობდნენ გამოცდილი სპეციალისტები ავადმყოფებს. იქიდან მარგარიტა საჯარო ბიბლიოთეკაში მიდიოდა, დღის პირველ ნახევარში მიღებულ პრაქტიკულ გამოცდილებას თეორიულად იმდიდრებდა.

ექვსი თვის შემდეგ სკანდაროვას სახით თბილისის ბავშვთა ცენტრალურ სტომატოლოგიურ პოლიკლინიკას დაუბრუნდა კარგი სპეციალისტი. მუშაობის პირველი დღიდანვე მან კანონად დაიდო პროფესორ კატცის მკაცრი გაფრთხილება — ორთოდონტული ავადმყოფის გულდასმით გამოკვლევა და პირველ რიგში დედის დაკითხვა: როგორ მიმდინარეობდა თანკბილვის ანომალიის მქონე ბავშვზე ორსულობა, რა წონის დაიბადა ბავშვი, როგორ იკვებებოდა იგი, როდის დაიწყო სიარული, ლაპარაკი, რა დაავადებები გადაიტანა და სხვა; შემდეგ საჭირო იყო ობიექტური გამოკვლევა, ორთოდონტული ავადმყოფის დათვალიერება. უნდა შეესწავლა ბავშვის საერთო განვითარება, სარძევე და მუდმივი კბილების რაოდენობა, მათი ფერი, ცალკეული კბილის ფორმა და მდებარეობა, კბილთა რკალების ფორმა, ქვედა ან ზედა ყბის, ან ორივეს გადაჭარბებული განვითარება ან განუვითარებლობა, ღია თანკბილვა, ღრმა თანკბილვა, სახის გარეგნული ფორმა, ლაპარაკისა და სიცილის დროს კბილების გამოჩენის ხარისხი.

სწორი დიაგნოზის დასადგენად მარგარიტა მიმართავს სპეციალურ რენტგენოლოგიურ გამოკვლევას, საკონტროლო მოდელებისა და სახის ნიღაბის დამზადებას, ფოტოსურათებს, და მერე, სათანადო კონსტრუქციის აპარატის შერჩევით იწყებს მკურნალობას.

15 წლის გ. ნ. კლინიკაში მიიღეს ღია თანკბილვის დიაგნოზით. ბავშვი ადრე დაავადებული ყოფილა რაქიტით. ამ დროს ყბის ძვალს არა აქვს კუნთებისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი და ადვილად ხდება მისი დეფორმირება. ამიტომ ბავშვს სახის გარეგანი ფორმა და მოყვანილობა მნიშვნელოვნად დარღვეული ჰქონდა. ზედა და ქვედა კბილები სრულიად გათიშული იყო, საჭმლის მოკბეჩა შეუძლებელი ხდებოდა. გაძნელებული იყო პირის ღრუში მიღებული საკვების გადამუშავების პროცესი, საკვების დამუშავებაში მონაწილეობას იღებდა ენა, ამის გამო ენის კუნთები იჭიმებოდა და ენა დიდდებოდა.

მარგარიტამ ამ შემთხვევაში მოიშველია გამაფართოებელი ფირფიტა, რომელიც ზედა ყბაზე დაადო. შემდეგ ფრონტალური კბილები სახის მიმართულებით გადაანაცვლა. კბილების გადანაცვლებასთან ერთად მორჩი ჩამოიწია ქვევით და თანდათნობით, მაგრამ ძალიან ნელა დაიწყო ავადმყოფის განკურნება.

მარგარიტას პაციენტები უფრო ხშირად ბავშვები არიან, 7-დან 17-წლამდე. ეს წლოვანება სასურველია, რადგანაც ამ ასაკში ძვლის გარდაქმნა იოლია, ამიტომ ყბა-სახის დაქვეითებული ფუნქციის აღდგენა ნათლად ჩანს, თუმცა მარგარიტას 30 წლის ავადმყოფების მკურნალობაში შესანიშნავი შედეგები აქვს. კბილების გასწორებისათვის ის ეყრდნობა როგორც პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, ისე აპარატით მკურნალობის მეთოდს. იყენებს მექანიკურ, ფუნქციურად მოქმედ და აგრეთვე შერეული ტიპის აპარატებს. მის კაბინეტში შემსვლელი ნახავს საკონტროლო მოდელების სხვაობას: მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ.



ახლა მარგარიტა ცნობილი ორთოდონტია. დიდმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ მდიდარი მასალა მისცა სადისერტაციო თემისათვის—„ზედა პროგნათიის კლინიკა და თერაპია“. ამ თემის დამუშავებაში მას კონსულტაციას უწევენ პროფესორები ა. ედიბერიძე და ი. რუბინოვი, ადგილზე პრაქტიკულად ეხმარება ქალაქის მთავარი სტომატოლოგი გრიგოლ ნიშნიანიძე.

ბუნება ყოველთვის გულუხვი როდია, ზოგჯერ არ იმეტებს ჩვენთვის ლამაზ კბილებს. მას გაეჯიბრნენ სპეციალისტები, ერთერთი მათგანი მარგარიტა სკანდაროვაა.

ი. ბიბუში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ქორწილი"



წელს დასავლეთ გერმანიის ქალაქ ობერჰაუზენში ჩატარდა მოკლემეტრაჟიანი ფილმების მე-11 საერთაშორისო კინოფესტივალი დევიზით — „გზა მშვიდობიანი მეზობლობისაკენ". ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 16 ქვეყნის 88 ფილმი, მათ შორის კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნაწარმოები — „ქორწილი". ამ ფილმმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. „ქორწილს" მიეკუთვნა ფესტივალის მთავარი პრიზი და, გარდა ამისა, კინო-ჟურნალისტთა საერთაშორისო გაერთიანებისა და „საერთაშორისო ევანგელიკური კინოცენტრის" პრიზები.

ამ ფილმის სცენარი, მუსიკალური გაფორმება და რეჟისურა ეკუთვნის ახალგაზრდა რეჟისორს, კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის კურსდამთავრებულ მიხეილ კობახიძეს („ქორწილი" მისი სადიპლომო ნამუშევარია).

ვუსურვებთ ნიჭიერ რეჟისორს ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს!



კადრები ფილმიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვაგრძელებთ საუბარს სიყვარულზე, ოჯახზე, ბედნიერებაზე...

## უსიყვარულო ქორწინება და უქორწინო სიყვარული

საკმაოდ ბევრია ისეთი ოჯახი, რომელიც, მართალია, თავიდან სიყვარულით შეიქმნა, მაგრამ ეს უკანასკნელი მალე გაქრა და ახლა მეუღლეთა ურთიერთპატივისცემის ან ბავშვების სიყვარულის, ნათესავმოკეთეებისა და, საერთოდ, საზოგადოებრივი აზრისადმი ანგარიშის გაწევის ფაქტორებს ეყრდნობა. ასეთ პირობებში მცხოვრები ზოგიერთი ცოლი და ქმარი არ არიან დაზღვეულნი ახალი სიყვარულის ან თუნდაც ახალი გატაცების ცდუნებისაგან და სწორედ ისინი ადგებიან ცოლ-ქმრული ღალატის გზას. როცა ასეთი ღალატი ცალმხრივია, იგი ტრაგიკულად აღიქმება ჯერ კიდევ მოყვარული მეუღლის მიერ. უმთავრესად, სწორედ ეს ადამიანები მომართავენ რედაქციას რჩევა-დარიგებისათვის.

„ჩვენ სიყვარულით დავქორწინდით,—წერს დიასახლისი „ქეთევანი“, — და შევქმენით ოჯახი. ყველა ნაცნობსა თუ ნათესავმოკეთეს ჩვენი ოჯახი სანიმუშოდ მიაჩნია. ჩვენი მრავალრიცხოვანი ოჯახის ყველა წევრი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას და ერთმანეთთან ჯანსაღ ურთიერთობაში არიან. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩემს მეუღლეს უკვე აღარ ვუყვარვარ. პირველი წლების გატაცება, აღფრთოვანება უკვალოდ გაქრა. ჰქონდა მას დროებითი გატაცებები, მაგრამ ამას ჩვენს შორის სერიოზული კონფლიქტი არ გამოუწვევია. ამ ბოლო წლებში კი ვგრძნობ, რომ მას სხვა უყვარს, მაგრამ ოჯახს მაინც არ არღვევს; ბავშვების მიმართ მოვალეობა წმიდათა წმიდად მიაჩნია. ჩემს მიმართ კი უფრო სიბრალულის გრძნობა ამოძრავებს. მე ვერ შევძელი გავმხდარიყავი მისი მეგობარი, რადგან მთელი ჩემი ახალგაზრდობა და ენერგია ბავშვების აღზრდას, და, საერთოდ, ოჯახს მოვანდომე, ის კი წინ წავიდა და ჩემთან ოჯახის ინტერესებს გარდა სხვას ვერაფერს პოულობს საერთოს. როგორც ვთქვი, მე მას არაფერში არ ვემდური, მაგრამ ვერ ვეგუები იმ აზრს, რომ მას სხვა უყვარს. მინდა ვიცოდე—მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო მისგან ერთგულება?“

ამ მაგალითში კარგად ჩანს, თუ რა ცუდი შედეგი მოაქვს ქალის გამოკეტვას ოჯახში, საზოგადოებრივი ცხოვრებიდან მის ჩამოშორებას; თუ რა ხანმოკლე და სუსტია სიყვარული, რომელიც მხოლოდ გატაცების საფუძველზე აღმოცენდება და არა ინტელექტუალურ-კულტურული დონისა და სხვა ფაქტორების თანასწორობის საფუძველზე. მართალია, ყველა ეს ფაქტორი ერთად რომ გვქონოდა, შესაძლოა, სიყვარული მაინც არ ყოფილიყო უცვლელი და მარადიული, მაგრამ ნორმალური პირობებით განსაზღვრული სიყვარული კანონზომიერად გადადის მეგობრობაში და ეს თავისუფლად ახდენს ვნება-გატაცების კომპენსირებას. როცა აღარც სიყვარულია და არც მეგობრობა, მაშინ რჩება ადგილი ახალი გატაცებისა და სიყვარულისათვის. ასეთი შემთხვევები იშვიათი არაა, მაგრამ ყველაფერი რაც ხდება, მორალურად გამართლებული როდია.

ზემოთმოყვანილი წერილის ავტორი თვითონ გრძნობს, თუ რა ძნელია მის მიერ აღწერილ სიტუაციაში ვინმეს გამტყუნება და დადანაშაულება.

რაც შეეხება მის შეკითხვას, მართლაც მეტად საინტერესო საკითხია: აქვს თუ არა ადამიანს უფლება მოითხოვოს ერთგულება იმისაგან, ვისაც იგი არ უყვარს?

თუ ღალატს მიიჩნევენ განქორწინების საკმაო საფუძვლად, ეს იმას ნიშნავს, რომ მეუღლის ერთგულების მოთხოვნა იურიდიული უფლებაა. მაგრამ ცნობილია, რომ იურიდიული უფლება ყოველთვის არ ემთხვევა ზნეობრივ უფლებას. თუ ადამიანს არ უყვარხარ, ზნეობრივად ვერ აიძულებ შენი ერთგული იყოს. აქ ზნეობრივ უფლებას იძლევა ისევ ზნეობრივი ფაქტორი — სიყვარული, მაგრამ სიყვარულის შემთხვევაში ღალატიც იშვიათია.

სხვა მხრივაც შეიძლება დაისვას კითხვა: ზნეობრივია თუ არა ქეთევანის მეუღლის მოქმედება, კერძოდ, უსიყვარულო ქორწინებაში ყოფნა?

ასეთი სიტუაციებისათვის ერთიანი, ზოგადი, მზა-მზარეული პასუხი არ არსებობს. ყოველი ცალკეული შემთხვევის კონკრეტული ანალიზია საჭირო.

ზნეობრივი არაა უსიყვარულო ქორწინებაში ყოფნა, მაგრამ თუ ეს გაპირობებულია ბავშვების კეთილდღეობის ინტერესით, მაშინ იგი გამართლებულია. მშობლიური მოვალეობის გრძნობა უფრო მაღალზნეობრივია, ვიდრე პირადი ბედნიერებისაკენ სწრაფვა.

სანაქებოდ და წაბაძვის ღირსად მიგვაჩნია, პირველ რიგში, ბავშვების კეთილდღეობისათვის ზრუნვა, ხოლო შემდეგ პირად ბედნიერებაზე ფიქრი. ეს თანმიმდევრობა აუცილებელი და მორალურია. ჩვენს პირობებში სხვა მხრივ თავისუფალი სიყვარული ძნელად თუ იქნება გამართლებული.

## ცალმხრივი და გაუმხელელი სიყვარული

მრავალი წერილი შემოდის რედაქციაში ცალმხრივი, გაუმხელელი ან უიმედო სიყვარულის შესახებ. ძველთა-ძველი და უკურნებელი სენია ცალმხრივი სიყვარული. ვინ მოსთვლის, რამდენი ადამიანის მყუდროება, ჯანმრთელობა და სიცოცხლე შეუწირია ამ სენს, რომელსაც ბედის უკუღმართობა, ინტერესთა შეუთანხმებლობა, გემოვნებათა კონტრასტი, გაუბედაობა, ავადმყოფური თავმოყვარეობა, უნებისყოფობა და სხვა უამრავი ცნობილი თუ უცნობი მიზეზი იწვევს.

კითხულობთ ამ წერილებს და არ შეიძლება არ უთანაგრძნოთ მათ ავტორებს. ადამიანები გულწრფელად განდობენ საკუთარ საიდუმლოებას, რჩევა-დარიგებასა და დახმარებას ითხოვენ. ზოგიერთს არავითარი დარიგება არ სჭირდება, უბრალოდ, გვიზიარებს თავის ჭირ-ვარამს და ამით იმშვიდებს აფორიაქებულ სულს. ჭირის გამხელა ხომ მისი განახევრებააო.

გავეცნოთ რამდენიმე ასეთ წერილს და შევეცადოთ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა:

„18 წლის ასაკში გავთხოვდი უსიყვარულოდ. მეგონა, რომ ქმარი შემიყვარდებოდა, მაგრამ მოვტყუვდი. სიყვარული ვიგრძენი 27 წლის ასაკში და ისიც სხვა მამაკაცის მიმართ. ქმარი რომ არ მიყვარს, ამას არაფერში ვამჟღავნებ. ოჯახის მიმართ ყურადღებიანი ვარ, შვილს, ქმარს და ოჯახს, რაც შემიძლია, ვუვლი. ვარ ქმრის მეგობარი, მაგრამ როგორც ცოლი — ცივი. ვერ შევძელი ქმრის სიყვარული, მინდა კი, რომ მიყვარდეს, ვიყო სიყვარულით ბედნიერი ცოლი, ალერსიანი. ეს არ გამომდის, ვერ ვპოულობ ქმართან ბედნიერებას. ჩუმად ვტირი, ვარ გულჩათხრობილი და ჩემს გულში ვიკლავ ამ უბედურებას.

ბევრჯერ მსმენია ამხანაგებისაგან — როგორ შეიძლება ქმარშვილიან ქალს შეუყვარდეს სხვა მამაკაცი? გთხოვთ, განმიმარტოთ, შეუძლია თუ არა ქმარშვილიან ქალს შეუყვარდეს სხვა მამაკაცი; და თუ შეუყვარდა — შეუძლია თუ არა მისი დავიწყება? მინდა, რომ მიყვარდეს ქმარი. რატომ

ვერ შევიყვარე ის და რატომ შემიყვარდა სხვა მამაკაცი? მაინტერესებს, ვიცოდე, ასეთი უსიამოვნო ამბავი მარტო ჩემს თავზე მოხდა, თუ კიდევ არიან ჩემს დღეში?"
„ნ. მ.".

ქმარშვილიან ქალს რომ შეიძლება შეუყვარდეს სხვა მამაკაცი და ისიც ცოლშვილიანი — ამას გვიდასტურებს თვით ამ წერილის ავტორი. მაგრამ მისი შეკითხვა ეხება არა შესაძლებლობას, როგორც ფ ა ქ ტ ს, არამედ შესაძლებლობას, როგორც უ ფ ლ ე ბ ა ს, ზნეობრივ ნორმას, დასაშვებობას. ამაზე კი ძნელია კატეგორიული პასუხის გაცემა.

ბევრს ჰგონია, რომ კომუნისტური ზნეობის პოზიციებიდან აქ არაფერია საეჭვო და დასაფიქრებელი. მაგრამ საკითხისადმი ასეთი დოგმატური და ფორმალური მიდგომა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ვერ გავიგოთ კომუნისტური ზნეობის არსი და დავამახინჯოთ იგი. კონკრეტული სიტუაციის გაუთვალისწინებლად ყველაზე მკაცრი ზნეობაც კი ვერ ბედავს სიყვარულის აკრძალვას, მით უმეტეს, ვერ დაუშვებს ამას ჭეშმარიტად ადამიანური, კომუნისტური ზნეობა.

საერთოდ ზნეობა არ კრძალავს არავითარ სიყვარულს. იგი კრძალავს მხოლოდ ღალატს, გარყვნილებას, თავშეუკავებლობას. იგი კრძალავს უსიყვარულო ქორწინებას და ამართლებს ასეთი წყვილის განქორწინებას, თუ ამით არ დაიჩაგრებიან ბავშვები. ზნეობა არავის არ უშლის შეიყვაროს, ვინც მას სურს, მათ შორის ცოლშვილიანიც და ქმარშვილიანიც, მაგრამ ზნეობა ხშირად უშლის ხელს ასეთი სიყვარულის გამოვლენას, კერძოდ, სხვა ადამიანის მყუდროების, დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და თავმოყვარეობის შელახვას.

ცალმხრივი სიყვარული იშვიათად გრძელდება დიდხანს. როგორც წესი, იგი დროებითი გატაცებაა და ძლიერი ემოციური ბუნების ადამიანებს ეს სიყვარულად მიაჩნიათ. ადამიანი იღლება ცალმხრივი სიყვარულით და გატაცებით. ზოგს ამაში ეხმარება საყვარელი ადამიანის ხშირად ნახვა და მასთან ურთიერთობა, ზოგს, პირიქით, უნახაობა გადაავიწყებს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ადამიანის დავიწყება ისევე შესაძლებელია, როგორც შეყვარება. თუ ზნეობა არასოდეს არ გვიშლის ხელს ვინმეს შეყვარებაში, სამაგიეროდ იგი ყოველთვის გვიწყობს ხელს ცალმხრივი და უიმედო სიყვარულის დავიწყებაში.

რაც შეეხება „ნ. მ.-ის" შეკითხვას, თუ რატომ ვერ შეიყვარა მან ქმარი მაშინ, როცა უნდოდა მისი შეყვარება და რატომ შეიყვარა სხვა, რაც არ უნდოდა — ამ შეკითხვაზე, რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია პასუხის გაცემა. როგორც ვხედავთ, თვითონაც კი ვერ პასუხობს ამ კითხვაზე. ეს სავსებით გასაგებია. სწორედ იმაშია სიყვარულის საიდუმლოება, რომ იგი არავის არ ეკითხება როდის გაჩნდეს და როდის არა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მოწონების გარეშე სიყვარული არ წარმოიშობა. იქნებ თქვენ, პატივცემულო „ნ. მ." არასოდეს არ მოგწონდათ თქვენი ქმარი და მოგეწონათ სწორედ ის, სხვა მამაკაცი? ყოველ შემთხვევაში, ასეთი მიზეზების დადგენა თქვენ ისევე ნაკლებად დაგამშვიდებთ, როგორც იმის გაგება, რომ მარტო თქვენ არა ხართ ასეთ მდგომარეობაში.

აი მოუსმინეთ თქვენს კოლეგას, ვინმე „მაიკოს":

„12 წლის წინ გავიცანი ერთი ახალგაზრდა ცოლშვილიანი კაცი. არ ვიცი რა დავარქვა იმ გრძნობას, რასაც მას შემდეგ განვიცდი— სიყვარული თუ... დღემდე ვერ გავთავისუფლებულვარ ამ გრძნობისაგან. თვალს ვადევნებ და აჩრდილივით დავყვები ყველგან მას. სამსახურიც კი გამოვიცვალე იმ მიზნით, რომ ხშირად შევხვედროდი. მე იმთავითვე ვიცოდი, რომ ჩვენი ქორწინება არასოდეს არ მოხდებოდა. მე არ შემიძლია გავყვე კაცს, რომელსაც ცოლი ჰყავს. ასე რომ, ჩემი გრძნობა არ მიკვებია მასთან დაქორწინების ფანტაზიით. ამიტომ არასოდეს მიცდია გამემხილა ჩემი სიყვარული. მან ჩემი არსებობაც კი არ იცოდა ამ 12 წლის მანძილზე. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ თქვენ იცოდეთ — პირადად მას არავითარი წვლილი არ მიუძღვის ჩემი გრძნობის წარმოშობაში. მაინც გაჩნდა ეს გრძნობა და თუ რა ძალისაა, შეგიძლიათ იმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ ამ ხნის განმავლობაში ვერავის შეყვარება ვერ შევძელი, მაშინ, როცა მრავალი იყო ჩემზე დაქორწინების მსურველი. ჩემს ვინაობას იგი ვერასოდეს ვერ გაიგებს, ან რა აზრი აქვს, მე მისგან არაფერი არ მინდა, გარდა იმისა, რომ მსურს ბედნიერი იყოს, ჯანმრთელი და წარმატებული. თქვენგან კი მაინტერესებს გავიგო — რა შეიძლება ეწოდოს ჩემს გრძნობას — სიყვარული თუ სისულელე?".

საერთოდ, სიყვარული და სისულელე არც თუ ისე უშლიან ხელს ერთმანეთს, მაგრამ მაიკოს წერილის ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ იგი სავსებით ჯანსაღად აზროვნებს და მის გრძნობას არაფერი არ უნდა ჰქონდეს საერთო სისულელესთან. ხოლო თუ ეს მართლაც სიყვარულია, მაშინ არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ მისი ნებისყოფისა და თავშეკავების უნარი, რომ იგი არ ეცადა თანაგრძნობის ძიებას მისი საყვარელი ადამიანისაგან. ეს არის ცალმხრივი სიყვარულის შედარებით იშვიათი სანიმუშო შემთხვევა. უფრო ხშირად ხდება ისე, რომ ძლიერი სიყვარული სძლევს თავმოყვარეობას და ამჟღავნებს თავისთავს. გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ასეთმა გამომჟღავნებულმა სიყვარულმა თანაგრძნობაც კი ჰპოვოს.

ხშირად გვწერენ ცალმხრივი სიყვარულისა და გატაცების შესახებ X-XI-კლასელი გოგონები. ისინი გვეკითხებიან, როგორ განასხვავონ სიყვარული გატაცებისაგან, შეიძლება თუ არა უცნობი ადამიანის შეყვარება, ან შეიძლება თუ არა გიყვარდეს ადამიანი, რომელიც მანკიერია, [illegible]რებს და ა. შ.

სიყვარულისა და გატაცების განსხვავებაზე ჯერ კიდევ პირველ წერილში იყო ლაპარაკი (იხ. ჩვენი ჟურნალის 1964 წლის № 5). ხოლო რაც შეეხება უცნობი ადამიანის სიყვარულს—ეს ყოვლად შეუძლებელია. ადამიანით, რომელსაც არ იცნობ და ხვდები ქუჩაში ან სხვაგან, შეიძლება გატაცებული იყო, მოგწონდეს გარეგნულად, გინდოდეს მასთან ყოფნა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა სიყვარული.

ახალგაზრდა, გამოუცდელი გოგონების შეცდომა ხშირად სწორედ იქიდან მომდინარეობს, რომ მათ არ ყოფნით ნებისყოფა თავი შეიკავონ გატაცების გამომჟღავნებისაგან. ამით ზოგჯერ ბოროტად სარგებლობენ ვაჟები. თუ ვაჟი წესიერი და სანდო არაა, ქალმა არა თუ გატაცება, არამედ სიყვარულიც კი არ უნდა გაუმხილოს მას.

სამწუხაროდ, ხდება, რომ ახალგაზრდები ერთმანეთს აფასებენ მხოლოდ გარეგნობის მიხედვით და გატაცების ცეცხლს ველარ აქრობენ მაშინაც კი, როცა ერთმანეთში რაიმე მანკიერებას აღმოაჩენენ. ესთეტიკური ფაქტორი არა მარტო დროში უსწრებს წინ სხვა ფაქტორებს, არამედ მნიშვნელობითაც ფარავს, მათ შორის, ზოგჯერ ეთიკურ ფაქტორსაც. ამით აიხსნება, რომ უყვართ მანკიერი ადამიანებიც.

როცა ასეთი სიყვარული კეთილ გავლენას ახდენს ადამიანზე და ეხმარება მას მანკიერების დაძლევაში — იგი ზნეობრივი და გამართლებულია. მაგრამ თუ ეს სიყვარული საშუალებას აძლევს მანკიერ ახალგაზრდას ბოროტად ისარგებლოს ქალიშვილის გულწრფელი გრძნობით, იგი უზნეობა და დანაშაულია.

ჯანსაღ საზოგადოებაში სიყვარულითა და პატივისცემით უნდა სარგებლობდეს სათნოება და არა მანკიერება. სილამაზე უნდა ისჯებოდეს უყურადღებობით, თუ მას თან არ ახლავს სათნოება. ახალგაზრდობა ერთმანეთს უნდა იწონებდეს და იყვარებდეს არა მარტო გარეგნობის, არამედ შინაგანი, სულიერი კულტურისა და პირველ რიგში — ზნეობის მიხედვით. არ უნდა ხდებოდეს ისე, რომ ბევრ შემთხვევაში, მართლაც, ყველაზე ლამაზი ყველაზე თავხედის ხვედრია. ახალგაზრდებმა უნდა ისწავლონ საკუთარი ვნება-გატაცების დაოკება და ადამიანების გამოცნობაც. თავშეკავებისა და მოთმინების გარეშე არც ძლიერი სიყვარული არსებობს და არც ბედნიერება.

ბელა ბანძელაძე

**რედაქციისაგან.** **ჩვენი ჟურნალის მკითხველები ხშირად ისეთ საკითხებზე გვთხოვენ რჩევა-დარიგებას, რომელთა განზოგადოება და მათ შესახებ ჟურნალის ფურცლებზე მსჯელობა შეუძლებელია. ასეთი ადამიანები ჩვენგან მიიღებენ ინდივიდუალურ პასუხებს, თავიანთი მისამართების აღნიშვნა რომ არ „ავიწყდებოდეთ".**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## გოგონა იზრდება

გოგონა ტანს იყრის, და, აი, უკვე იმ ასაკში დგება, როცა მშობლები ოხვრით ამბობენ, ის დღეებით კი არა, საათობით იზრდებაო. აგერ, სულ ახლა შეუკერეს ფორმა, კაბა კი მუხლებს ზევითა აქვს, სახელოებში ველარ ეტევა გრძელი მკლავები.

გოგონას ხასიათსა და ყოფაქცევაშიც შეიმჩნევა რაღაც ცვლილებები: იცვლება ჩვეულებები, გემოვნება, ხმის ტემბრი. ჩვენ, ექიმები, ამ ხანას სქესობრივი მომწიფების პერიოდს ვუწოდებთ. ის 11-15 წლიდან იწყება და 17-19 წლის ასაკში მთავრდება. ეს არის ზრდის მეტად საპასუხისმგებლო პერიოდი, როდესაც დიდი დატვირთვით მუშაობს ორგანიზმის ყველა სისტემა. და იმისგან, თუ რა პირობებში მიმდინარეობს ეს ხანა, ბევრად არის დამოკიდებული მომავალი ქალის ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობა და ბედნიერება.

გოგონა ოჯახში დედის პირველი მომხმარეა, ის თვითონ არის მომავალი დიასახლისი. ძალიან ცუდია, თუ დედა არიდებს გოგონას საოჯახო საქმეს, უქნარას და ბედოვლათს ზრდის. მაგრამ არც წინააღმდეგობაში ჩავარდნაა კარგი. არ შეიძლება მთლიანად გოგონას დავაკისროთ მძიმე საოჯახო საქმე. გოგონას ორგანიზმის თავისებურება ისეთია, რომ ხშირ და ხანგრძლივ ფიზიკურ დაძაბვას შეუძლია შეაჩეროს ან დაამუხრუჭოს მისი სქესობრივი განვითარება, გამოიწვიოს მენსტრუალური ციკლის აშლილობა და, ძალიან ხშირად, მისი მთლიანად აღკვეთა, უქონლობა ანუ ამენორეა.

ნაკლები დაზოგვა როდი სჭირდება გოგონას ჯერაც ჩამოუყალიბებელ ნერვულ სისტემას. ზოგიერთი მშობელი თავს არ იზოგავს, ისე ცდილობს შვილი მუსიკალურ სკოლაშიც ჩარიცხოს, ცეკვის წრეშიც და უცხო ენებიც შეასწავლოს. თავის მხრივ, გოგონა სკოლაში ეწერება კიდევ რაღაც წრეში და, საბოლოოდ გამოდის, რომ დარღვეულია დღის რეჟიმი, ბავშვს ჯერ გადაღლა ეუფლება, მერე იფიტება ნერვული სისტემა, ამას კი თან სდევს ფიზიკური განვითარების შეფერხება და ორგანიზმს მიდრეკილება უჩნდება სხვადასხვა დაავადებისადმი.

რომელი ქალიშვილი არ ოცნებობს ლამაზი იყოს! ნამდვილი სილამაზე კი არის კოხტა, გამართული ტანი, ჯანსაღი სახის ფერი და მხიარული გუნებ-განწყობა. ოჯახში რომ ასეთი ლამაზი გოგონა გაიზარდოს, მას ბავშვობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ზოგიერთი ჰიგიენური ჩვევა, ფიზიკური კულტურა, რომ ეს ჩვევები მისთვის ისეთივე აუცილებელი გახდეს, როგორც დილის ტუალეტი.

უპირველეს ყოვლისა, ვისაუბროთ კარგ ტანადობაზე. ვიდრე ქალიშვილს ტანის სწორად დაჭერის ჩვევა არ ჩამოუყალიბდება და ეს პოზა მისთვის მუდმივი და ძალდაუტანებელი არ გახდება, მას დროდადრო რბილად უნდა შევახსენოთ, როგორაა საჭირო დგომა, ჯდომა, წოლა. როგორ ვიდგეთ? ერთი შეხედვით, ამაზე უბრალო რა იქნება! არადა, ბევრმა გოგონამ არ იცის წესიერად დგომა. თავი უნდა დავიჭიროთ პირდაპირ, მხრები ოდნავ დავუშვათ და უკან გადავიტანოთ. ოდნავ შევისუნთქოთ. ეს მდგომარეობა უნდა შევინარჩუნოთ სიარულის დროსაც.

ტანსაცმელი არ უნდა ბორკავდეს მოძრაობას. წინდის მოსაჭერი მრგვალი რეზინები, გეტრები და ვიწრო რეზინიანი საცვალი აფერხებს სისხლის მიმოქცევას, იწვევს სისხლის შეგუბებას, რის გამოც ფართოვდება და სუსტდება ვენები, მომავალში კი ამან შეიძლება სხვადასხვა ავადმყოფური გართულება გამოიწვიოს.

თვალყური ადევნეთ, რომ გოგონა ღრმად იჯდეს სკამზე, არ იკუზებოდეს. გაკვეთილების მომზადებისას მაგიდაზე ძალიან არ დაიხაროს. იდაყვები მთლიანად მაგიდაზე უნდა ეწყოს და მაგიდის კიდეზე არ უნდა იყოს გადმოკიდებული. თუ ფეხები იატაკს არ წვდება, ფეხქვეშ სადგარის ან პატარა სკამის შედგმაა საჭირო.

მიაჩვიეთ გოგონა კარგად განიავებულ ოთახში ძილს, სწორ, მაგრამ არც ძალიან რბილ საწოლზე.

დილის გამამხნევებელი ვარჯიში, სპორტული თამაშობები, ცურვა, თხილამურები, ცეკვა არამარტო ჯანმრთელობას აწრთობს, არამედ ხელს უწყობს ნებისყოფიანი, ინტერესიანი ხასიათის ჩამოყალიბებას.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი მოზარდი გოგონას ცხოვრებაში. ეს გახლავთ დედათაწესის დღეები, რომლებსაც შეიძლება თან ახლდეს ნერვული აღგზნება, კუჭნაწლავის აშლილობა და ხელ-ფეხისა და სახის ოდნავი შეშუპება. გოგონა უნდა დავამშვიდოთ და ავუხსნათ, რომ ეს შეუძლოდ ყოფნის, დაღლილობისა და ქვედა მუცელში სიმძიმის გრძნობა და სხვა უსიამოვნო მოვლენები მალე გაივლის, სუფთა ჰაერზე ხშირი სეირნობის შემდეგ. ამ დღეებში უკუნაჩვენებია მძიმე ფიზიკური შრომა და სპორტული თამაშობანი, მზის აბაზანების მიღება, ბანაობა, ფეხების, წელისა და ქვედა მუცლის გაცივება. მაგრამ პირადი ჰიგიენის დაცვა, შხაპი და სხვა საშუალებები აუცილებელია.

დედათაწესის გამოჩენა იმის ნიშანია, რომ ამოქმედდა ქალის სასქესო ჯირკვალი, საკვერცხე. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ სქესობრივი ცხოვრების დაწყება შეიძლება. ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლის, სანამ ორგანიზმი დედობისთვის საბოლოოდ მომწიფდება. ქალიშვილებმა, ადრე რომ იწყებენ სქესობრივ ცხოვრებას, არ იციან, რომ ამით აჩერებენ ორგანიზმის განვითარებას და გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ თავის თავს.

სიყვარულისა და დედობის ჟამი თავის დროზე მოვა, და მაშინ (ამის მტკიცება თამამად შეიძლება) უფრო ბედნიერები აღმოჩნდებიან ის ქალიშვილები, რომელთა ფიზიკური აღზრდა ოჯახში სწორედ მიმდინარეობდა.

ვ. ბილიონოკი,

მეანობისა და გინეკოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მე თვითონ!"

ბინაში სიჩუმეა. ფანჯრიდან ჯერ არ შემოჭრილა ზამთრის გვიანი მზის სხივები, დიმა კი უკვე ფეხზეა. საწოლის მაღალ კიდეზე ხელებდაბჯენილი აკვირდება ნახევრადჩაბნელებული ოთახის კუთხეს, სადაც მოჩანს დღეობაზე ნაჩუქარი ახალი სათამაშოს კონტურები. პატარას გუშინ ერთი წელი შეუსრულდა. 365 დღის განმავლობაში ის დაუღალავი ინტერესით აკვირდებოდა და ეცნობოდა გარემოს. როგორც კი სხვისი დახმარებით ფეხის ადგმა შეძლო, საწოლში ხანგრძლივ ჯდომაზე უარი განაცხადა და სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა ოჯახის წევრები, ისე მიიბრძოდა იატაკისკენ, მოძრაობისკენ.

ახლა ის თამამად და მტკიცედ დგას ფეხებზე და მის ამ პოზაში რწმენა იგრძნობა.

ერთხანს დიმა ჩუმად დგას, თითქოს ყურს უგდებს ოთახში მძინარეთა მშვიდ სუნთქვას. რა სურვილით, რა გრძნობითაა ახლა იგი შეპყრობილი? რა ხდება მის ქერაქოჩრიან თავში? პატარას არ შეუძლია ამის გადმოცემა, მაგრამ ამას შეიძლება მისი საქციელით მივხვდეთ.

— დედა! —იძახის ის. —დედა!

გაღვიძებული დედა ცდილობს ბავშვი საწოლზე დასვას და სათამაშოები მიაჩეჩოს, მაგრამ პატარა დაჟინებით იწვდის ხელს ახალი სათამაშოსკენ.

ოღონდ სათამაშო ხმაურიანია, ოთახში კი მამას ჯერ ისევ ძინავს, დედას მიზანშეწონილად არ მიაჩნია ბავშვს ის სათამაშო მისცეს და ცდილობს, შვილის ყურადღება სხვაზე გადაიტანოს. ზოგჯერ ახერხებს კიდეც ამას. ბავშვი ძველ სათამაშოებს იღებს, ათვალიერებს, მაგრამ მაშინვე უკან აგდებს და ისევ მაგიდისკენ იწევს. იქ ახალი სათამაშო დევს. ერთი შეხედვით, პატარა ამჟღავნებს გასაოცარ და გაუგებარ სიკერპეს. ახალი, უცნობი საგნის გამო უარყოფს ყველა ძველ, საყვარელ სათამაშოს. ასეთი ცნობისმოყვარეობა ადრეც გამოამჟღავნა, მაგრამ ახლა მთელი ძალით ისწრაფვის ახლისადმი, უცნობისადმი.

როგორ უნდა მოვიქცეთ? მივცეთ მას სათამაშო?

დიახ, უსათუოდ უნდა მივცეთ (თუ არა და, დასანახად, მაგიდაზე რატომ დებდით?).

მამას რომ გავაღვიძებთ?

მერე რა, გაიღვიძოს. ბიჭი უკვე ერთი წლისაა. ის ცნობისმოყვარე ხდება. აღმზრდელ მშობლებს ახალი საზრუნავი ემატებათ — დააკმაყოფილონ ეს დაუღალავი ცნობისმოყვარეობა.

გარდა ამისა, პატარა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას ამჟღავნებს. ის უარობს, როცა რამეს თავს ახვევენ. სურს, თვითონ აირჩიოს. გავა დრო და დედას კოვზს ჩამოართმევს, რომლითაც საჭმელს აჭმევენ. „მე თვითონ! მე თვითონ!" მან უკვე იგემა მოხერხებული, კოხტა მოძრაობისაგან მიღებული სიამოვნება და აღარ მოსწონს ის მეურვეობა, წინათ რომ სჭირდებოდა. ბავშვი ცდილობს „თვითმომსახურებაზე" გადასვლას. შეიძლება ამის აკრძალვა? შეიძლება ბავშვის შებოჭვა, ყველაფერზე უარის თქმა?

— მაგრამ, —შენიშნავს მკაცრი აღმზრდელი, — თუ ბავშვის ყოველგვარი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილეთ და ყოველგვარი სურვილი შევუსრულეთ, ვაითუ განებივრებული და ჭირვეული ბავშვი გავზარდოთ.

რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია არა მის ყველა სურვილზე, არამედ ისეთ სურვილებზე, რომლებიც ხელს უწყობს მოზარდის განვითარებას. ბავშვმა პატარაობიდანვე უნდა შეიგნოს მკაცრი „არ შეიძლება". მაგრამ რა შემთხვევაში „შეიძლება" და როდის „არ შეიძლება"? სად გადის ამ ორ სიტყვას შორის უხილავი ზღვარი? აი, აქ გვჭირდება ელემენტარული პედაგოგიური განათლება

ბავშვის დაუშრეტელი ცნობისმოყვარეობა, მისი უთვალავი კითხვები: „ეს რა არის" და „რატომ" ხშირად მშობლებს უქმ, თავმოსაბეზრებელ ტიტინად ეჩვენებათ. ზოგჯერ კითხვაზე „შეიძლება ავიღო?" „შეიძლება ვნახო?" უფროსები მოკლედ და უკმეხად პასუხობენ „არ შეიძლება", და თავს არ იწუხებენ, რომ დაკვირვებით ჩახედონ ბავშვის ჩაფიქრებულ, გატაცებით ანთებულ სახეს, მის სერიოზულ გამოხედვას.

ორი წლის გოგონა იატაკზე გულმოდგინედ ასხამს წყალს, რომ მერე ჩვრით მოწმინდოს — დედას ბაძავს და იატაკს „რეცხავს", მერე კი მწარედ ტირის, როცა ამ მუყაითობისათვის სჯიან. ბავშვებისათვის ძნელია გაიგონ, რატომ უწყრებიან იმისათვის, რასაც მათ თვალწინ უფროსები აკეთებენ. ბავშვების ეს შესანიშნავი თვისება უფროსების მოქმედების მიბაძვისა, უფრო მოწონების ღირსია, ვიდრე დასჯისა. შემდეგ, უკვე სერიოზული საქმიანობისას მათ გაუადვილდებათ ბავშვობაში თამაშით ნასწავლი საქმის გაკეთება.

მაგრამ დამოუკიდებლობასთან, აქტიურ მოქმედებასთან ერთად ბავშვი უნდა მივაჩვიოთ სურვილების დაოკებას და თავშეკავების უნარს. ხომ ხდება ისიც, რომ ზოგჯერ ბავშვს ისეთი სწრაფვა გაუჩნდება, რომლის დაკმაყოფილება შეუძლებელია, —აი, სწორედ მაშინ უნდა გაისმას წყნარად და მტკიცედ ნათქვამი — „არ შეიძლება" თუ მშობლები ხშირად და ბოროტად არ იყენებენ ამ სიტყვებს, ბავშვი, როგორც წესი, იოლად ემორჩილება ამ აკრძალვას. პირველივე წლიდან უნდა ავუკრძალოთ ბავშვს მჭრელი საგნების, მინის ნამსხვრევების, ასანთის აღება, წიგნების დახევა და სხვა. თუ ერთი წლის ბავშვს ყველა სურვილი შევუსრულეთ, ის ცუდ ჩვევებს შეიძენს და მერე მისი გადაჩვევა იოლი არაა.

საჭირო არ არის ბავშვს მის პატარა გასაჭირში პირველივე მოთხოვნაზე დავეხმაროთ. დე, პატარა თვითონ შეეცადოს ამ გაჭირვებიდან გამოსვლას, მაგალითად: გამოიღოს საწოლის ქვეშ შეგორებული ბურთი, მოიტანოს თავისი ფეხსაცმელი და სხვა. ზოგჯერ დედა განგებ დებს სათამაშოს ბავშვისათვის მიუწვდომელ ადგილზე და მერე სთხოვს მის მოტანას. ბავშვი ცდილობს, მაგრამ მოქმედება აღემატება მის ძალას, მაშინ პატარა სატირლად ემზადება. ასეთ შემთხვევაში უნდა დაეხმაროთ მას. ადრე, ბავშვობაში გადალახული სიძნელეები ერთგვარი ფსიქოლოგიური გაკაჟებაა, მაგრამ საჭირო არ არის ზომაზე მეტი წვრთნა, მოთხოვნა, მისი „გაღიზიანებამდე" მიყვანა. დროზე მიეცით ბავშვს იმის საშუალება, გამარჯვების სიტკბო შეიგრძნოს. მივახვედროთ, რომ ძნელი ამოცანა დაუძლეველი არაა, თუ ძალიან ეცდება მის ამოხსნას.

ერთი წლის შემდეგ ბავშვის მეტყველება სწრაფად ვითარდება. ამ ხნისათვის ის ათზე მეტ სიტყვას ამბობს. ამას სიხარულით ეხმაურებიან დიდები. მაგრამ, მარტო სიხარული არ კმარა: ბავშვს ახლა დახმარება სჭირდება მეტყველების დაუფლებაში. იმ ოცდაათ სიტყვაში, რაც წლინახევრის პატარამ იცის, უმეტესობა საგნებს და მოქმედებას ეხება. თუ დედები ხშირად დაუსახელებენ არა მარტო საგნებს, არამედ მათ თვისებასაც (ბურთი მრგვალია, ჩაი — ტკბილი, ყვავილი—ლამაზი), ბავშვი სწრაფად შეიგნებს ამ განსხვავებას. ორი წლისა უკვე კარგად ერკვევა ხმაში, ფერსა და საგნის მოყვანილობაში. მისი ურთიერთობა დიდებთან უფრო მრავალფეროვანი და შინაარსიანი ხდება, და ეს, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მისი ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

მაგალითად, ორი წლის პატარას თავისუფლად შეუძლია გააგებინოს მშობლებს თავისი პატარა მოთხოვნილებები. მათ ურთიერთდამოკიდებულობაში არავითარი გაუგებრობა აღარაა, ყველაფერი რიგზე და თავისთავად მიდის. სხვა ოჯახში კი, სადაც მშობლები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ბავშვის მეტყველებას, ბავშვი თავის სურვილებს მხოლოდ „ყვირილით" გამოთქვამს, მას ხშირად ვერ უგებენ, ეს კი პატარას აცრემლებს, აღიზიანებს. ამ შემთხვევაში, დიდები დაასკვნიან, ბავშვი ჭირვეული და თავნებააო, და სჯიან, როგორც კი ატირდება. მეტყველებაში ჩამორჩენა გავლენას ახდენს ბავშვის ხასიათზე. ის მტირალა იზრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ბავშვებთან გაუბედავია, მონაწილეობას არ იღებს ისეთ თამაშებში, სადაც ლაპარაკია საჭირო, გაურბის ტოლებთან ყოფნას და მარტოვდება.

წლინახევრის შემდეგ ბავშვები იწყებენ მოკლე, ორი-სამი სიტყვისაგან შემდგარი წინადადებებით ლაპარაკს, კარგად ესმით გარშემო მყოფთა საუბარი. სამი წლიდან უკვე შეუძლიათ პატარა გამოცანების ამოხსნა, ესმით უბრალო თხრობა. ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მეტყველების განვითარებას. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ სურათები, რომელზეც ასახულია კონკრეტული მოქმედება, მაგალითად: კატას ძინავს, გოგონა ბურთს თამაშობს, მანქანა გზაზე მიდის. ეცადეთ, ხშირად მიმართოთ ბავშვს კითხვებით, აიძულეთ მოგითხროთ რაიმე ამბავი. განუმარტეთ უცნობი საგნები და მოვლენები.

სამი წლის შემდეგ ბავშვის სიტყვების მარაგი ათასხუთასამდე აღწევს. ოთხი წლის ბავშვი უკვე საინტერესო და გულისყურიანი მოსაუბრეა. მან იცის მრავალი სიტყვა და შეუძლია სწორად გამოთქმა.

ამ პერიოდში ბავშვები ამჟღავნებენ სხვადასხვა მისწრაფებას. მათ შეუძლიათ ბეჯითად უსმინონ მუსიკას, თხრობას ან ზღაპრებს, ისწავლონ ლექსები, იცეკვონ, იმღერონ, გულდასმით უთვალთვალონ, როგორ აკეთებს მამა ან ძმა რადიომიმღებს; ის ხატავს, ძერწავს, კრეფს სოკოსა და ხილს. ერთი სიტყვით, ბევრ ისეთ რამეს აკეთებს, რასაც დიდები. თუ ყველა ეს საქმიანობა ხელმისაწვდომია ბავშვისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ის მრავალმხრივ განვითარებული ხდება.

ვიდრე თანამედროვე ბავშვი სწავლობს ყურებას, სმენას, ვიდრე გებულობს, რომ არსებობს მაგარი და მრგვალი საგნები, არსებობს ნაირნაირი ფერები, მისი გაგება არ აღემატება ჩვენი წინაპრების ბავშვთა გაგებას. მაგრამ, როგორც კი ის იწყებს დაკვირვებას გარე სამყაროზე, როცა ის ტელევიზორთან ზის, ან თვითმფრინავის ფრენას უმზერს, ანდა კოსმონავტების ამბავს უსმენს, ბავშვი უთანასწორდება თანამედროვეობას. მისი სიცოცხლე იწყება იმის შეთვისებით, რითაც მთავრდება უფროსი თაობების სიცოცხლე.

— ბებია, —ამბობს თანამედროვე ოთხი წლის ბავშვი, —შენ არ იცი, —ამას კოსმოსიდან გადმოსცემენ. ეს კოსმოსის შეფერხებაა...

რა სიმაღლეზე უნდა ავიდეს ჩვენი ბავშვი, თუ მისი სიცოცხლე კაცობრიობის ასეთი მაღალი კულტურით იწყება! მაგრამ იმ სიმაღლეზე ასვლა მას მხოლოდ აღმზრდელების დახმარებით, თქვენი დახმარებით შეუძლია, ძვირფასო მშობლებო.

**ა. ფონარიოვი,**

სსრ კავშირის პედიატრიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი.

# ჯემი

ჯემი იხარშება როგორც მთლიანი, ისე ნაჭრებად დაჭრილი ხილისაგან. კარგი ჯემი მიიღება იმ ხილ-კენკრისაგან, რომელიც შეიცავს პექტინს, ე. ი. ისეთ ნივთიერებას, რომელსაც აქვს უნარი შაქართან და მჟავასთან შეერთებით წარმოქმნას ჟელესმაგვარი მასა. ასეთი სახის ხილ-კენკრს ეკუთვნის: ვაშლი, კომში, ქლიავი, ალუჩა, ღოღნოშო, ხურტკმელი, შტოში, მოცხარი და სხვა. ნაკლებ პექტინს შეიცავს: ჟოლო, მარწყვი, ალუბალი, მსხალი. თუ ჯემი იხარშება ისეთი სახის ხილ-კენკრისაგან, რომელიც მცირე რაოდენობით ანდა სრულიად არ შეიცავს პექტინს, მაშინ საჭიროა დაემატოს წვენი ან პიურე იმ ხილ-კენკრისა, რომელშიც დიდი რაოდენობითაა პექტინი.

ჯემის მოსახარშად გამოიყენება მწიფე ხილ-კენკრა, ოღონდ არა გადამწიფებული. გადამწიფებული ხილ-კენკრა არ წარმოქმნის ჟელესმაგვარ მასას. ჯემის მოსახარშად კარგია წვრილი და დაჭყლეტილი ხილ-კენკრა, რომელიც მურაბისათვის უვარგისია. ჯემის მოსახარშად, ცხადია, არ გამოდგება დამპალი, დაობებული და გაფუჭებული ხილ-კენკრა.

ზოგიერთი კენკრა (მოცხარი, შტოში, ხურტკმელი) ხარშვის წინ დაჭყლიტეთ კოვზით.

გამზადებულ ჯემში ხილ-კენკრა მოხარშული უნდა იყოს, სიროფი კი — ჟელეს მაგვარი.

ჯემი მოათავსეთ სუფთა, მშრალ ქილებში, თავი მოუკარით პერგამენტის ქაღალდით, შეინახეთ მშრალ და გრილ ადგილას.

## ქლიავის ჯემი

1 კგ კურკაგამოცლილი ქლიავი ტაშტში ჩაყარეთ, დაასხით 1 ჩაის ჭიქა წყალი და ხარშეთ დარბილებამდე. შემდეგ შეურიეთ 3 1/2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი და ხარშეთ, სანამ მზად არ იქნება.

## ატმის ჯემი

1 კგ კანმოცილებული და კურკაამოცლილი ატამი დაჭერით ერთნაირი სიდიდის ნაჭრებად, მოათავსეთ ტაშტში, დააყარეთ 2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, დაახურეთ თავსახური და გააჩერეთ 3-4 საათს. შემდეგ დადგით ცეცხლზე, როცა ადუღებას დაიწყებს, დაასხით 1/2 ჩაის ჭიქა ცხელი წყალი. ჩააყარეთ 2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი და ხარშეთ, ვიდრე მზად არ იქნება.

## ღეღვის ჯემი

1 კგ გადარჩეული, გარეცხილი ღეღვი მოათავსეთ ტაშტში, დაასხით 3/4 ჩაის ჭიქა წყალი და ხარშეთ ნელ ცეცხლზე 10-15 წუთს, თან ურიეთ. მერე მოხარშეთ სქელი კონსისტენციის სიროფი, 900 გრ შაქრის და $1^{1}/_{4}$ ჩაის ჭიქა წყლისაგან, ცხელივე დაასხით ღეღვს და განაგრძეთ ხარშვა, სანამ მზად არ იქნება.

## ვაშლის ჯემი

1 კგ წვრილად დაჭრილი ვაშლი ტაშტში ჩაყარეთ, დაასხით 2 ჩაის ჭიქა წყალი, დააყარეთ 1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი და ხარშეთ, ვიდრე ვაშლი არ ჩაიხარშება. შემდეგ დააყარეთ 2 ჩაის ჭიქა შაქარი და ხარშეთ.

## კომშის ჯემი

1 კგ გათლილი, გულამოცლილი და დაჭრილი კომში ტაშტში ჩაყარეთ, დაასხით 2 ჩაის ჭიქა წყალი და ხარშეთ, სანამ არ დარბილდება. შემდეგ ჩააყარეთ 3 ჩაის ჭიქა შაქარი და მორევით ხარშეთ.

## ალუბლის ჯემი

1 კგ კურკაგამოცლილი ალუბალი ტაშტში ჩაყარეთ, დაასხით $^{1}/_{2}$ ჩაის ჭიქა წყალი და ხარშეთ დარბილებამდე. შემდეგ შეურიეთ 3 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი და ხარშეთ, სანამ მზად არ იქნება (დაახლოებით 10-15 წუთს ადუღების მომენტიდან).

## კურკიანი ალუჩის ჯემი

1 კგ გადარჩეული, გარეცხილი ალუჩა ტაშტში ჩაყარეთ, დაასხით $^{1}/_{2}$ ჩაის ჭიქა წყალი, ხარშეთ 10-15 წუთს ადუღების მომენტიდან. 1 1/2 ჩაის ჭიქა წყლისა და 5 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილისაგან მოხარშეთ სქელი კონსისტენციის სიროფი. მერე ალუჩიანი ტაშტი გადმოდგით ცეცხლიდან, დაასხით ზედ ცხელი სიროფი, დადგით ცეცხლზე და ხარშეთ, სანამ მზად არ იქნება. ხარშვის დროს შეუწყვეტლივ ურიეთ ხის კოვზით, რომ ძირზე არ მიიწვას.

## გარგარის ჯემი

1 კგ გარეცხილი, კურკაგამოცლილი გარგარი ტაშტში ჩაყარეთ, დაასხით 1/2 ჩაის ჭიქა წყალი და ხარშეთ 10 წუთს, თან ურიეთ. შემდეგ შეურიეთ 3 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი და ხარშეთ, სანამ მზად არ იქნება.

**თამარ სულაქველიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მშვიდობის ფონდი"

ამ რამდენიმე წლის წინათ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა „მშვიდობის ფონდი". ამ ინიციატივას ფართოდ დაუჭირეს მხარი მშრომელებმა. ფონდში ნებაყოფლობით შეაქვთ სახსრები ყველა პროფესიის ადამიანებს: მუშებს, კოლმეურნეებს, მოსამსახურეებს, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების მუშაკებს, აგრეთვე მხატვრულ ანსამბლებს, თვითმოქმედების წრეებს, სასწავლო დაწესებულებებს, ქალთა, სპორტულ და სხვა ორგანიზაციებს.

„მშვიდობის ფონდის" ამოცანაა ფინანსიურად დაუჭიროს მხარი საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მშვიდობის, ხალხთა შორის სოლიდარობისა და მეგობრობის განმტკიცებისაკენ მიმართულ ღონისძიებებში.

ასე, მაგალითად, „მშვიდობის ფონდის" სახსრები მოხმარდა საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის (1962 წ.), ქალთა მსოფლიო კონგრესის (1963 წ.), ახალგაზრდობის ფორუმების მოწყობის და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებს.

„მშვიდობის ფონდიდან" მატერიალური დახმარება გაეწიათ ნაგასაკისა და ხიროსიმის მსხვერპლთ, ალჟირელ ბავშვებსა და ქალებს, გრიგალისაგან დაზარალებულ კუბის მოსახლეობას, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობას აფრიკაში და სხვ.

საბჭოთა ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ „მშვიდობის ფონდის" შევსებაში. გარდა ამისა, ისინი, იმ მიზნით, რომ დახმარება გაუწიონ თავის საზღვარგარეთელ დებს, აფრიკისა და აზიის ქვეყნების ქალებისა და ბავშვებისათვის აგზავნიან ტანისამოსს, ფეხსაცმელს, ქსოვილებს, სასკოლო ხელსაწყოებს და სხვა საგნებს. მარტო მოსკოვში გამართულ ქალთა მსოფლიო კონგრესის შემდეგ უამრავი ამანათი გაიგზავნა ალჟირში, ანგოლაში, სამხრეთ ვიეტნამში, ბრიტანეთის გვიანაში, სამხრეთ როდეზიაში, ტანგანიკაში, პორტუგალიის გვინეაში, მწვანე კონცხის კუნძულებზე, მარტინიკაში და სხვა ქვეყნებში. კერძოდ, ალჟირში გაიგზავნა 15 ყუთი საჩუქარი, მათ შორის 2.500 ცალი ბავშვის ტანსაცმელი, 600 წყვილი ფეხსაცმელი, საწოლის თეთრეულის კომპლექტები.

* * *

4000 მანეთზე მეტი გადასცეს „მშვიდობის ფონდს" იმიერპოლარეთის ქალაქ ინტის მცხოვრებლებმა. ინტელმა მოსწავლეებმა მოაწყვეს მხატვრული თვითმოქმედების რამდენიმე ფასიანი კონცერტი, შემოსული თანხა — 300 მანეთი შეიტანეს „მშვიდობის ფონდში". ამავე ქალაქის ექიმმა ზინაიდა ზონოვამ „მშვიდობის ფონდს" გადასცა 1.000 მანეთი. თვალსაჩინო თანხა შეიტანეს ფონდში № 2 საბავშვო ბაღის თანამშრომლებმა.

* * *

ორი თვე იმუშავა პენსიონერმა ანა ალექსის ასულმა კოვალენკომ და მთელი ხელფასი — 200 მანეთი „მშვიდობის ფონდში" შეიტანა.

* * *

საბჭოთა ქალების კომიტეტმა და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საკავშირო საზოგადოებამ მოაწყვეს საღამო — „მსოფლიოს ქალები დღეს". მთელი შემოსავალი „მშვიდობის ფონდში" ჩაირიცხა. ამ საღამოს მონაწილე პენსიონერმა მასწავლებლებმა ქსენია გიორგის ასულმა ივანოვამ, გადასცა რა თავისი დანაზოგი „მშვიდობის ფონდს", განაცხადა: „ალჟირელ ბავშვებს 10 მანეთს ვუგზავნი. დე ეს იყოს წვეთი ოკეანეში, მაგრამ თუ სხვა დედებიც, შეძლებისდაგვარად, გამოხატავენ თავიანთ დედობრივ თანაგრძნობას, მაშინ ჩვენ საგრძნობ დახმარებას გავუწევთ ბავშვებს".

ქ. მოსკოვის № 753 საბავშვო ბაღის მუშაკებმა შეაგროვეს ბავშვთა ტანსაცმელი და სათამაშოები. ეს საჩუქრები კომიტეტმა აფრიკელ ბავშვებს გაუგზავნა.

* * *

ცნობილი ესპანელი კომუნისტის, ფრანკოს ჯალათების მიერ დახვრეტილი ხულიან გრიმაუს ქალიშვილებს ვნუკოვის საშუალო სკოლის იმ რაზმმა, რომელიც ხ. გრიმაუს სახელს ატარებს, ფოტოაპარატი გაუგზავნა საჩუქრად.

* * *

90 ყუთი ბავშვთა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აგრეთვე სასკოლო მოწყობილობა გამოუგზავნეს კომიტეტს აზიისა და აფრიკის ბავშვებისათვის ქალაქ პერმის ქალებმა და მოსწავლეებმა. პერმელი ქალები ამ საჩუქრებს დიდი სიყვარულით ამზადებდნენ და იძენდნენ. მაგალითად, № 12 მოდების ატელიეს ქალებმა შეკერეს გოგონების კოხტა და ლამაზი კაბები, ბიჭუნების კოსტუმები. ქალაქის სკოლების მოსწავლეებმა შეაგროვეს ლითონის ჯართი და მისი ღირებულებით თავიანთი საზღვარგარეთელი მეგობრებისათვის შეიძინეს სასკოლო მოწყობილობანი და სათამაშოები.

* * *

100 მანეთი გადაურიცხა „მშვიდობის ფონდს" ლენინგრადის კლუბის „დრუჟბას" თოჯინების თეატრმა

* * *

აბაკანის ქალთა საქალაქო საბჭომ, სამხრეთ ვიეტნამელ ქალებთან სოლიდარობის ნიშნად, მოაწყო მხატვრული თვითმოქმედების 8 კონცერტი. შემოსული თანხა — 600 მანეთზე მეტი — „მშვიდობის ფონდში" ჩაირიცხა.

* * *

შორეული აღმოსავლეთის ნაოსნობის კამჩატკის სამმართველოს მეზღვაურთა ცოლების საბჭომ იმ ვიეტნამელი ბავშვებისათვის, რომელთა მშობლები ამერიკელ აგრესორთა ხელით დაიღუპნენ, შეაგროვა ფული და „მშვიდობის ფონდში" შეიტანა.

---

გარეკანზე — მხატვარი ქალის ნინო ანთაძის ნამუშევრები.
ფერადი ფოტორეპროდუქციები ნორა ანთიძისა.

რედაქტორი თეო აბაშმაძე

სარედ. კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჯავახიშვილი. ტექრედაქტორი ქ. დემუროვა

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/VI-65 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 60.000 შეკვ. 1 800, უე 03270. ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.

# გრძნეული ქალი პიონერთა სასახლიდან



— ამ პატარა ქალაქს თეთრიწყარო ჰქვია, იმ წყაროს სახელი, გვერდზე რომ ჩამოუდის. აქ დღისით ადამიანები მბრძანებლობენ. ღამით კი... თუმცა, მოდი, ჩემო პატარა, ღამით წამომყე იქ, თუ არ გეშინია. ნახავ და თვითონვე დარწმუნდები, რომ ის მართლაც ჯადოსნური წყაროა.

ქალი თხრობითაა გატაცებული. ჩანს დაავიწყდა, რომ მას შეჰყურებენ არა მარტო მისი ჩვეულებრივი მსმენელები — სკოლამდელები და პირველკლასელები. უნდა გამოვტყდე, მეც დამავიწყდა, რომ ეს ქალი ნინო ალექსანდრეს ასული ანთაძეა, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პედაგოგი და სათამაშოების მუზეუმის მეცნიერი მუშაკი.

ნახე, ღამე უკვე ესტუმრა თეთრ წყაროს, თან მოიყვანა მთვარე, ვერცხლისფერთმიანი მზეთუნახავი. იდუმალი ჩრდილები ჩამოწვა დედამიწაზე. მაგრამ, აი, გადაიხსნა ჩრდილთა შავი ნაოჭები და სინათლეზე გამოვიდნენ არსებანი, რომელთაც დღისით სულ უბრალო სახელები ჰქვიათ. სოკო კეთილ მოხუცად ქცეულა, მას ჩაიზე მოუწვევია მეგობრები. მოხუცი სტუმრების პატივსაცემად ცალფეხზე შემდგარა და ტკბილად უღიმის ყველას. აგერ, სტუმრებიც. თურმე, ესენი რკოები კი არ არიან, არამედ მხიარული ქონდრისკაცებია. მოხდენილი კარეტით მოგრიალდნენ ისინი. ამ ცოტა ხნის წინათ ამ კარეტას კაკლის ნაჭუჭი ერქვა და მტვრიან შარაზე ეგდო. სუსნია ელფები მაგიდისაკენ მიიწევენ და მოუთმენლად აშრიალებენ ტიტას ფურცლების კაბებს. ჩქარობენ მეგობრები — მზის პირველივე სხივი (ის ხომ ჯადოქარია!) პირვანდელ სახეს დაუბრუნებს მათ. მერე აღარასოდეს აღარ გაცოცხლდებიან. აი რატომაა, ზოგჯერ უჩვეულო საგნებს რომ ნახავთ ტყეში.

მოუთხრობს ნინო თავის ზღაპრებს და მოხიბლული ბავშვები პირდაღებული უსმენენ. ამ იმპროვიზებული ამბის გმირები შეიძლება დღისითაც იხილოთ: ისინი სათამაშოების მუზეუმში შეკრებილან, მართლაც ცოცხლებივით, თუმცა შექმნილნი სავსებით ჩვეულებრივი მასალებისაგან: გირჩების, ფოთლების, თესლების, ყვავილთა ფურცლებისა და ხის ტოტებისაგან. ერთი სიტყვით, „კარიერები", საიდანაც ხდება ამ მასალების მოპოვება, ყველასათვის ღიაა და ხელმისაწვდომი — ესენია: ბაღები, პარკები, ტყეები, მინდვრები.

როგორღაც, ერთხელ, მუზეუმში სამი წლის ბავშვი შეიყვანეს. მან დაინახა ტირიფის ფუმფულა კვირტებისაგან გაკეთებული ფუტკარი, შეშინდა და ტირილი მორთო: მიკბენსო.

უმთავრესი მაინც სხვა რამეა—შეგიძლიათ მიხვიდეთ პიონერთა სასახლეში, ჩაეწეროთ წრეში და თვითონვე ისწავლოთ თავშესაქცევ და პოეტურ არსებათა შექმნა. ნინო ანთაძის აღსაზრდელთა ნამუშევრებმა აკი დაამშვენეს ბავშვთა შემოქმედების საერთაშორისო გამოფენა პრაღაში!

გატაცებით მუშაობენ ბავშვები წრეში. ცამეტი წლის ვლადიმერ ბაგრატიონმა მორიგი გამოფენისათვის გააკეთა ფესმალი „ირემი" და სიუჟეტური კომპოზიცია — „კოსმონავტები". ცხრა წლის მოქანდაკე ჟორა მატუამ შექმნა უშუალოებითა და იუმორით აღსავსე სცენა—„ფესბურთი". ნარნარი „ცეკვა ქართული" ათი წლის ირა ბოგომოლოვას შემოქმედებაა. უფრო ნორჩი მხატვრებიც არიან ნინოსთან წრეში.

საინტერესოა ნ. ანთაძის პედაგოგიური პრინციპები. ბავშვებთან მუშაობამ საშუალება მისცა მას გაეკეთებინა შემდეგი დასკვნა: მეტისმეტად პირობითია მტკიცება — ბავშვს „არ გააჩნია მხატვრული ნიჭი". პრაქტიკა უკუაგდებს ასეთ მტკიცებას. საჭიროა მეტი ფრთხილი მიდგომა ბავშვებისადმი და სწავლების სპეციალური მეთოდიკა, ეს დაგვეხმარება განვუვითაროთ თითოეულ ბავშვს თანდაყოლილი მხატვრული ნიჭი, რაგინდ უმნიშვნელო არ უნდა იყოს იგი. ამ მხრივ თავის დაკვირვებებს ნინო ალექსანდრეს ასული გადმოსცემს დამხმარე მეთოდურ სახელმძღვანელოში, რომელსაც ამზადებს „ნაკლები მხატვრული ნიჭის" მქონე ბავშვებთან მომუშავე პედაგოგებისათვის. სხვათა შორის, ეს ნაშრომი მისი საკანდიდატო დისერტაციაც იქნება.

ბავშვობიდანვე გაიტაცა ნინო ამ უჩვეულო საქმემ. მაშინ ომიანობის წლები იყო. მაგრამ ბავშვი ყოველთვის ბავშვია. და პატარა ნინოც მიმართავდა თვითმომსახურებას, აკეთებდა სათამაშოებს ყველაფრისაგან, რაც კი ხელთ მოხვდებოდა. არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა ნინოს საახალწლო ნაძვის ხეები, მორთულნი მისივე ხელით შექმნილი სათამაშოებით. უკვე მაშინ ძალიან ბევრს კითხულობდა გოგონა. სწორედ ამიტომ მის ნაძვის ხეებს ჟიულ ვერნისა და ფენიმორ კუპერის გმირებიც ამშვენებდნენ. ნინოს ხატვა უყვარდა. დღიურსაც კი ნახატებით და არა ჩანაწერებით ავსებდა. ეს ნახატები, რომლებშიც გოგონას პირადი სურვილები იყო ასახული, ყურადღებას იპყრობდა არა დამაჯერებლობით, არამედ მდიდარი ფანტაზიით.

1948 წელს ნინო ანთაძე თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე შევიდა. მაგრამ ცდამ არ გაუმართლა და გულისტკივილით მიატოვა ხატვა. მერე პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, წარჩინებით დაამთავრა ფილოლოგიური ფაკულტეტი და ასპირანტურაში ჩაირიცხა. მალე ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. მაგრამ ბავშვობაში გაღვიძებული შემოქმედებითი წყურვილი მოსვენებას არ აძლევდა და აი, 1955 წელს, სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ რესპუბლიკურ გამოფენაზე გამოჩნდა ნინო ანთაძის პირველი ნამუშევრები, შექმნილნი ცოცხალი ბუნების „ნაწილაკებით". ამან განსაზღვრა მისი ცხოვრების გზა. პედაგოგისა და მხატვრის ნიჭმა ნინო მიიყვანა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში და სათამაშოების მუზეუმში.

...ნინოსთან ერთად სასახლის პარკის ხეივანს მივყვები. კვლავ და კვლავ მანცვიფრებს სამყაროს ნინოსეული ხილვა, უჩვეულო და თავისებური. ის, რაც ჩემთვის უბრალოდ ხეივანი, ბილიკები და მინდორია, ნინოსათვის...

— შეხედეთ, რა სასაცილო მაიმუნია. აგერ, მელიამ თავისი ფაფუკი კუდი დაჰკარგა. ფრთხილად, ასპიტს ფეხი არ დაადგათ!

გაოცებული ვიყურები ირგვლივ. მაგრამ ვერაფერს ვხედავ გარდა გარეული წაბლის ნაყოფის, ნაძვის გირჩის და აკაციის პარკისა... ნინო საუბარს განაგრძობს, მიამბობს სენ-სანსის მელოდიების პოეტურ სამყაროზე („ხომ გახსოვთ მისი „ცხოველთა კარნავალი?" ძალიან მინდა გავაკეთო ეს პერსონაჟები!"), ანდერსენის ზღაპრებისა და პაუსტოვსკის მოთხრობების სილამაზეზე.

არა. ეს არ არის სენტიმენტალური მეოცნეობა. ეს არის სიყვარული მშობლიური ბუნებისადმი, სწრაფვა — დაინახოს ადამიანში სიკეთე და სილამაზე. სწორედ ეს განსაზღვრავს მის შეხედულებას ცხოვრებაზე. ამიტომ ახარებს ნინო ალექსანდრეს ასულს მისი პატარა მეგობრებისა და მოსწავლეების ბუნებისაკენ ლტოლვა.

მე ისევ ვიგონებ ნინოს შექმნილ ერთ სათამაშოს და ზღაპარს, რომლის ილუსტრაციას წარმოადგენს ეს სათამაშო:

ერთხელ ტყეში ერთმანეთს შეხვდნენ ზღარბი და გოგონა, რომელსაც ყველა აშარსა და ჩხვლეტიას ეძახდა, მისი ავი ხასიათის გამო.

— ზღარბუნა, — უთხრა გოგონამ, — უი, როგორ მგავხარ.

— ტყუილია,—იწყინა ზღარბმა,—შენ ჩხვლეტ და შეურაცხყოფას აყენებ ყველას, მე კი მხოლოდ მათ, ვინც თავს მესხმის, — და ისე უჩხვლიტა აშარ გოგონას, რომ იგი ატირდა. სამაგიეროდ ამის შემდეგ მას არასოდეს არავისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

იყავი ადამიანისადმი კეთილი და ყურადღებიანი! — აი მთავარი დევიზი გრძნეული ქალისა, რომელიც თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მოღვაწეობს.

**სტანისლავ სერგეევი**

ИНДЕКС 76178

8 26/191

ეროვნული ბიბლიოთეკა













